# სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 11 მარტი 2008 №054 (3278) ფასი 50 თეთრი


# ვისთვის ძვირობს თასის ფასი?

## დღეს და ხვალ თასის მოსურნენი ოთხნი დარჩებიან



ზესტაფონი თუ ოლიმპი: მეოთხედფინალის მთავარი ბრძოლა ეს არის

## ჩვენი ადგილი მსოფლიოში

რაგბის საერთაშორისო საბჭომ ახალი რეიტინგი გამოაქვეყნა და ამ ახალ რეიტინგში ცვლილებებიც ბლომადაა. ავსტრალიამ და ინგლისმა ადგილები გაცვალეს, ისევე როგორც უელსმა და ირლანდიამ და შოტლანდიამ და ფიჯიმ.

თუმცალა, ამ გუნდთა ადგილმონაცვლეობა ჩვენთვის არაფერს ნიშნავს: ჩვენ „ლელოებისა“ გვაინტერესებს.

საქართველოს ნაკრები კვლავაც მე-14 ადგილზეა რეიტინგში და შეგახსენებთ, რომ ამაზე წინ ჩვენი რაზმი არასდროს ყოფილა.

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | (1) | სამხრეთ აფრიკა | 90.81 |
| 2 | (2) | ახალი ზელანდია | 89.59 |
| 3 | (3) | არგენტინა | 87.42 |
| 4 | (5) | ავსტრალია | 84.20 |
| 5 | (4) | ინგლისი | 83.18 |
| 6 | (6) | საფრანგეთი | 81.00 |
| 7 | (8) | უელსი | 78.72 |
| 8 | (7) | ირლანდია | 77.36 |
| 9 | (10) | შოტლანდია | 75.97 |
| 10 | (9) | ფიჯი | 75.88 |
| 11 | (11) | იტალია | 72.52 |
| 12 | (12) | სამოა | 71.61 |
| 13 | (13) | ტონგა | 71.51 |
| 14 | (15) | საქართველო | 67.83 |
| 15 | (15) | კანადა | 67.25 |
| 16 | (16) | რუმინეთი | 66.83 |
| 17 | (17) | რუსეთი | 66.31 |
| 18 | (18) | იაპონია | 65.35 |
| 19 | (19) | აშშ | 64.68 |
| 20 | (20) | ურუგვაი | 63.18 |

# ეს მაშინ იყო, როცა ინტერი 57 წლის იყო

## თუ ისტორიის გამეორებისა გჯერათ. ლიგას მილანელები შერჩებიან



# დავით ყიფიანის თასის ყაზბეგის გათამაშება
## მეოთხედფინალი. საპასუხო მატჩები



# ვისთვის ქვირობს თასის ფასი?

**დღეს-ხვალ** საქართველოს თასის მეოთხედფინალის საპასუხო მატჩებია. ზოგან ინტრიგა შემორჩა და არის მატჩები, სადაც სერიოზული ბრძოლის მომსწრენი უნდა გავხდეთ.

ყველაზე საინტერესო მატჩი ზესტაფონშია — იმერლები რუსთავის „ოლიმპს" უმასპინძლებენ. მართალია, პირველი მატჩი „ზესტაფონმა" სტუმრად 1:0 მოიგო, მაგრამ ანატოლი პისკოვეცის გუნდს სიურპრიზების მოწყობა რომ ეხერხება, ჩემპიონატშიც დაამტკიცა.

„ოლიმპის" დამრტყმელი ძალა დავით დევდარიანია. თუ რუსთაველთა ნახევარმცველი იშტაზე იქნება, იმერელთა მცველებს მისი შეჩერება გაუჭირდებათ. რაც შეეხება უკრაინიდან ჩამოყვანილ დუეტს: ომელიანოვ-კოვალევსკის აშკარად ეტყობათ, რომ თანდათან უშინაურდებიან ჩვენს ფეხბურთს.

„ზესტაფონი" კი ბოლო დროს ველარ ყოჩაღობს და მე-17 ტურში ზუგდიდურმა ფრემ საჩემპიონო შანსებიც შეუმცირა. თანაც თასის ფინალში ზედიზედ სამჯერ დამარცხებული იმერლები წლეულს ნავსის გატეხვას აპირებენ და ეცდებიან, რუსთავში მოპოვებული უპირატესობა არ გაანიავონ.

ბორჯომს გორის „დილა" სტუმრობს.

მართალია, გორელებს სათასოდ არ სცხელათ, მაგრამ...

აი, „ბორჯომი" შედარებით მოფერიანდა: გიორგი მეგრელაძე, შოთა გრიგალაშვილი, გიორგი ფეიქრიშვილი — ეს სამეული პირველი მატჩისას ბორჯომელებს განაცხადში არ ჰყავდათ, ახლა კი ძირითადში იქნებიან და, ცხადია, ამ წყვილის ფავორიტად კურორტული კლუბი ითვლება.

თასს ერთადერთი პირველლიგელი შემორჩა — ჭიათურის „მაღაროელი", რომელიც „ამერს" ესტუმრება. მათი პირველი მატჩი დიდთოვლობის გამო გორში ჩატარდა და გლდანელებმა 2:1 იმარჯვეს, რითაც საპასუხო მატჩს ინტრიგა თითქმის მოუკლეს.

ამერელები ჩემპიონატში მოიკოჭლებენ და, შეიძლება ითქვას, თასზელა ფიქრობენ. მეტიც, თასის ორგზის მფლობელს ტიტული აქვს დასაცავი — უპირატესობა კი საპასუხო მატჩის წინ საკმაო აქვს.

თბილისის „დინამო" შინ ცხინვალის „სპარტაკს" დაუხვდება. დინამოელებმა პირველი მატჩი მოულოდნელად, 0:0 დაასრულეს. ის კი არა, მარცხს რომ გადაურჩნენ, ცხინვალელთა ახალგაზრდული გუნდის გამოუცდელობას უმადლოდნენ, თუმცა, რასაკვირველია, დღევანდელი მატჩის ფავორიტებად მიიჩნევიან და ალბათ ეს საკამათო არც არის.

ამ მატჩის პირდაპირ რეპორტაჟს ტელეკომპანია „მზე" გადასცემს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

ბორჯომი. 11 მარტი. 14.30 საათი. ჟ. ზეინკლიშვილი

### ბორჯომი — დილა (2:3)

მსაჯები: ლ. სილაგავა, გ. ჩიგოგიძე, ბ. ქიჭინაძე, ა. კრიჭაშვილი

თბილისი. 11 მარტი. 14.30 საათი. ეროვნული

### დინამო — სპარტაკი (0:0)

მსაჯები: გ. ვადაჭკორია, მ. ელიკაშვილი, ზ. ხუციშვილი, მ. ბეუქლიშვილი

თბილისი. 12 მარტი. 14.30 საათი. ამერი

### ამერი — მაღაროელი (2:1)

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი, ზ. მენთეშაშვილი, კ. გაბრიაძე, პ. დოგრაშვილი

ზესტაფონი. 12 მარტი. 14.30 საათი. ცენტრალური

### ზესტაფონი — ოლიმპი (1:0)

მსაჯები: ლ. კვარაცხელია, ლ. მიქელაძე, ზ. ჯვარიძე, დ. ხარიტონაშვილი

# ჭელიძე სიონში. ფიფია სახლში.
## ბოლნისელები ნაკანზეც ფიქრობენ



**გიორგი ჭელიძეს** და გოგი ფიფიას რომ „ზესტაფონის" ხელმძღვანელობასთან ურთიერთობა აერიათ, „სარბიელის" მკითხველმა კარგად იცის.

სატრანსფერო ფანჯარა საქართველოში 5 მარტს დაიხურა და სწორედ ბოლო დღეს მოელაპარაკა იმერული კლუბის ხელმძღვანელობას გიორგი ჭელიძე, რომელიმე გუნდში განათხოვრებით ეთამაშა. იყო საუბარი, რომ იგი „ბათუმს" დაემატებოდა, თუმც ზღვისპირელებმა შოთა ბაბუნაშვილი შეიმატეს და ჭელიძეს სხვა გუნდის მოძებნა მოუხდა — საბოლოოდ იგი ბოლნისის „სიონს" შეუთანხმდა.

გიორგის გუშინ შევეხმიანეთ და აი, რა გვითხრა: „ბოლო წამს მოხერხდა „სიონის" განაცხადში ჩემი შეყვანა. მიხარია, სეზონის ბოლომდე უგუნდოდ რომ არ დავრჩი. მეორე წრეს ბოლნისურ გუნდში ჩავამთავრებ და მერე რაღაც გამოჩნდება".

გუშინ გოგი ფიფიასაც დავუკავშირდით, თუმც მან გვითხრა, რომ სრულ გაურკვევლობაშია და სეზონის ბოლომდე უფეხბურთოდ ყოფნა მოუწევს.

და ერთიც: რახან „სიონზე" ვთქვით, დავით ნაკანიც ვახსენოთ — შესაძლოა, ბოლნისელებმა ეს ნახევარმცველიც შეიმატონ.

**ნუკრი ლოლაძე**


# ფეხბურთი

თბილისი. ამერის სტადიონი

საქართველოს თასი. მეოთხედფინალი.

საპასუხო მატჩი

**12 მარტი**

ამერი — მაღაროელი

თბილისი — ჭიათურა

დასაწყისი 14.30 საათზე. ბილეთის ფასი 1 ლარი


# საქართველოს 19 ჩემპიონატი
## პირველი ლიგა. 17 ტური

**აღმოსავლეთი**

კახეთი 1:1 მეშაძრე

ჩიხურა 0:0 გაგრა

ვიტ ჯორჯია 2 2:0 ნ.დინ-მერანი 2

დინამო 2 1:0 ამერი 2

ოლიმპიკი 1:5 ოლიმპი 2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გაგრა | 17 | 10 | 5 | 2 | 37:26 | 35 |
| დინამო 2 | 17 | 10 | 4 | 3 | 28:14 | 34 |
| ვიტ ჯორჯია 2 | 17 | 8 | 4 | 5 | 26:15 | 28 |
| მეშაქრე | 15 | 8 | 3 | 4 | 25:17 | 27 |
| ოლიმპი 2 | 17 | 7 | 4 | 6 | 25:18 | 25 |
| ჩიხურა | 16 | 7 | 4 | 5 | 28:23 | 25 |
| კახეთი | 17 | 6 | 4 | 7 | 27:27 | 22 |
| ამერი 2 | 16 | 6 | 2 | 8 | 27:29 | 20 |
| ოლიმპიკი | 17 | 3 | 3 | 11 | 22:37 | 12 |
| ნ.დინ-მერანი 2 | 17 | 0 | 3 | 14 | 16:50 | 3 |

**დასავლეთი**

მაღაროელი 1:0 ხობი

სამტრედია 2:2 მარტვილი

ზესტაფონი 2 2:1 მეშახტე

უნივერსიტეტი 2:1 ტორპედო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მაღაროელი | 17 | 15 | 2 | 0 | 39:11 | 47 |
| მარტვილი | 17 | 8 | 4 | 5 | 23:16 | 28 |
| მეშახტე | 16 | 9 | 0 | 7 | 28:27 | 27 |
| ზესტაფონი 2 | 16 | 8 | 2 | 6 | 26:16 | 26 |
| კოლხეთი | 17 | 7 | 5 | 5 | 23:19 | 26 |
| ტორპედო | 17 | 7 | 4 | 6 | 27:24 | 25 |
| უნივერსიტეტი | 16 | 5 | 3 | 8 | 13:17 | 18 |
| ხობი | 16 | 4 | 5 | 7 | 18:22 | 17 |
| სამტრედია | 16 | 2 | 3 | 11 | 16:37 | 9 |
| ფაზისი | 17 | 2 | 2 | 13 | 17:43 | 8 |

*„ფაზისი" მოხსნილია გათამაშებიდან*

### ინგლისი

II ლიგა. XXXVI ტური

ჩესტერფილდი 1:2 დონსი

კონფერენსლიგა. XXXVI ტური

იორკი 3:2 ექსეტერი

### იტალია

სერია C1/B. XXVI ტური

ლანჩანო 1:1 სალერნიტანა

### გერმანია

II ბუნდესლიგა. XXIII ტური

ზანკტ პაული 0:0 მიუნხენი

### საფრანგეთი

II დივიზიონი. XXVII ტური

ნანტი 1:0 გრენობლი

### ჩეხეთი

გამბრინუს ლიგა. XX ტური

სპარტა 1:0 ტეპლიცე

### ჰოლანდია

II დივიზიონი. XXXII ტური

აპელდორნი 3:2 დორდრეხტი

კამბური 0:1 ემენი

ეინდჰოვენი 0:0 დენ ჰააგი

ალმერე 2:0 ჰაარლემი

ზვოლე 2:3 სიტარდი

მაასტრიხტი 0:1 ჰელმონდი

როზენდალი 1:2 ვოლენდამი

ტელსტარი 2:0 ვალვაიკი

ოსი 1:0 იგლსი

ვეენდამი 0:3 დენ ბოსხი

### პორტუგალია

სუპერლიგა. XXII ტური

ბელენენსეში 2:3 ბოავიშტა

### შვეიცარია

ჩელენჯლიგა. XXII ტური

ვადუცი 0:0 ვოლენი

# დასავლეთის ბაზები
## პეტარ სეგრტი ჩიხურას ავარჯიშებს



**8-9 მარტს** საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი, ვიცე-პრეზიდენტი გრიგოლ ცაავა და ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელი პეტარ სეგრტი ზუგდიდსა და საჩხერეს ესტუმრნენ.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებმა ზუგდიდში საფეხბურთო კლუბ „ბაიას" მშენებარე ბაზა დაათვალიერეს და რეგიონული ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლებიც დაასაჩუქრეს.

მეორე დღეს ახალკაცი, ცაავა და სეგრტი საჩხერეში გამართულ პირველი ლიგის მატჩს, „ჩიხურა" — „გაგრას" (0:0) დაესწრნენ.

ფედერაციის თავკაცები სიჩხერეს რაიონის გამგებელ ზურაბ ცერცვაძეს შეხვდნენ და მშენებარე საფეხბურთო ბაზაც მოინახულეს.

ამ ვიზიტისას გადაწყდა, რომ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელი პეტარ სეგრტი 19 მარტს „ჩიხურას" თავკაც სოსო ფრუიძესთან ერთად გუნდში ერთობლივ ვარჯიშს ჩაატარებს.

**ბაჩა შალამბერიძე**

www.gff.ge

საქართველოს 19 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
II წრე. 16 ტური



ამერული დენის დობროვოლსკი რუსთაველებს გაურბის

# მეგრული პროპორცია: ზედა სამეული ორ-ორით დაშორდა

აკი ვივარაუდეთ, ლიდერთა ჯგუფში, შეიძლება, რაღაც შეიცვალოსო და შეიცვალა კიდეც. მინისენსაციის ავტორი „მგლებია“, მომხვდურ „ზესტაფონს“ ფრე შეჰკადრა და, ვინ იცის, ეგებ, საჩემპიონო ორი ქულა ჩამოაჭრა.

მეთექვსმეტე ტურში სხვა მნიშვნელოვანი ამბებიც მოხდა, თუმც სენსაცია მეტი არ ყოფილა — მომგებმა მოიგო, წამგებმა წააგო.

ცოტათი ცხრილის ქვედა ნაწილშიც შეიცვალა ვითარება. და კიდევ, სტუმრებმა ვერ გაიხარეს — მეფსონეთა ენაზე რომ ვთქვათ, არც ერთი 2-იანი არ ამოვიდა.

ჩემპიონატის ლიდერმა „დინამომ“ უკვე მერამდენედ მოიგო ადვილად, ველარ ვითვლით. ანგარიშმა არ შეგაცდინოთ — „ბორჯომისგან“ გაშვებულ ორ გოლს სულაც არ აუფორიაქებია დუშან უჰრინის ბიჭები, რომლებმაც ორჯერ ორი შეაგდეს, მაგრამ ორი ამდენი კიდევ შეიძლებოდა მიემატებინათ.

მათე ვაწაძე კი დინამოელთა მთავარლიდერად იქცა და არ არის გამორიცხული, გაბონელი ჟორჟ აკიერემი დანარჩენ მატჩებშიც სათადარიგოებში დარჩეს. მოკლედ, „დინამო“ ისევ ორქულიანი ჰანდიკაპით დაჰყურებს ცხრილს ზემოდან, მაგრამ მაინც შენიშნავთ — „დინამო“ ჯერ ვერ არის ისეთი, როგორიც შარშან შემოდგომაზე იყო.

„ბორჯომზე“ კი იმას ვიტყვით, რომ, სავარაუდოდ, მეექვსე ადგილზე დარჩება. იქედან მეშვიდემდე ქულების საკმაო ღრმულია, ზედა ადგილებზე ასასვლელად კი, ვეჭვობთ, კურორტელებს ძალა ეყოთ.

დინამოელთა მთავარმა მდევარმა „ვიტ ჯორჯიამაც“ ისე ადვილად იმარჯვა გორის „დილასთან“, რომ ბევრი აღწერა არ გვჭირდება. მხოლოდ ჯაბა ლიპარტიას კარგ თამაშს აღვნიშნავთ, რომელიც მიჯრით მეორე შეხვედრაა, შეცვლაზე შედის და მაგრად ამწვავებს თავისიანთა შეტევებს. აკი, „დილას“ გოლიც გაუტანა.

თასის მფლობელმა „ამერმა“ ჩემპიონ „ოლიმპს“ დაძაბულ მატჩში მოუგო და მეოთხე ადგილამდე ორი ქულაღა აკლია, თუმც რისი მომტანია ეს მეოთხე ადგილი...

პირველი ოფიციალური ამერული გოლი შეაგდო კობა შალამბერიძემ, რის შემდეგაც რუსთაველებმა „უკრაინულად“ გაათანაბრეს — ანტონ კოვალევსკის აქტიურობას ალექსანდრ ომელიანოვის გოლი მოჰყვა. მაგრამ „ყვითლების“ საუკეთესო თავდამსხმელმა დიმიტრი ტატანაშვილმა ბოლოსკენ მაინც იმარჯვა და გადამწყვეტი შეაგდო.

გიორგი ჩიხრაძის გუნდისთვის ეს მოგება, ეგებ, სატურნიროდ იმდენად არა, რამდენადაც ფსიქოლოგიურად იყო მნიშვნელოვანი — ამ სეზონში პირველად მოხდა, რომ „ამერმა“ ასე თუ ისე ძლიერ გუნდს სძლია.

და „ზესტაფონი“? მეოთხე ადგილზე გასვლა არ ემუქრება, მაგრამ ძალიან დასწყვიტა გული ზუგდიდურმა ფრემ. „მგლები“ მაგრად დაუდგა ფეროელებს, ათი კაცითაც დარჩა, მაგრამ მაინც არ გაატანინა სამი ქულისთვის ჩასულ სტუმრებს.

ახალციხურმა 0:0-მა „მესხეთის“ მწვრთნელი კობა თედიაშვილი უკმაყოფილო, „ლოკომოტივის“ თავკაცი გიორგი კიკნაძე კი კმაყოფილი დატოვა, თუმც არ იფიქროთ, რომ მასპინძლებს აურაცხელი საგოლე მომენტები ჰქონდათ. პირიქით, ბოლოს რატი ალექსიძეს ორი „ჩხვლეტიდან“ ერთხელ მაინც რომ მოერტყა მიზანში... ალექსიძეზე შევჩერდებით — თითქმის ოთხი წელია, „ჩელსის“ ყოფილ ფეხბურთელს არ უთამაშია და ვნახოთ, მომდევნო მატჩებში რას შემატებს რკინიგზელებს, რომლებიც კვლავაც გასავარდნ ზონაში არიან.

გაიხარა ცხინვალის „სპარტაკმა“ და თანაც, რა პრინციპულ შეხვედრაში: „მერანს“ გიორგი ტყეშელაშვილის გვიანი გოლით სძლია და ის ადგილი გაუცვალა, რომელიც ერთ-ერთ პირველლიგელთან საპლეიოფო ჯახს ითვალისწინებს.

და ბოლოს, ვითომ უკვე გავარდა „ბათუმი“? ზღვისპირელთა მწვრთნელი უკვე ასე თვლის და ჩვენც დავთვალოთ, რამდენი ქულა აშორებს გუნდს სამშვიდობომდე: შვიდი არც ბევრია და არც ცოტა, მაგრამ „ბათუმმა“ წლეულს ორი საშინაო მატჩიდან ვერც ერთი მოიგო, არადა, არცთუ ბობოქარი მეტოქეები ჰყავდა.

ერთიც, ცხრილის ბოლო ხუთ ადგილზე მყოფ ვერც ერთ გუნდს გატანილი გოლების გრაფაში ორნიშნა რიცხვს ვერ უპოვით — არცაა გასაკვირი, ჯერ საგოლე მომენტებსაც ნაკლებად ქმნიან და მათ გამოყენებასაც ხომ კლასი და შნო უნდა...

**ილია ნანოგაშვილი**

მგლები 0:0 ზესტაფონი
ამერი 2:1 ოლიმპი
ვიტ ჯორჯია 2:0 დილა
ბათუმი 1:1 სიონი
მესხეთი 0:0 ლოკომოტივი
დინამო 4:2 ბორჯომი
სპარტაკი 1:0 მერანი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 16 | 14 | 0 | 2 | 42:9 | 42 |
| ვიტ ჯორჯია | 16 | 13 | 1 | 2 | 30:9 | 40 |
| ზესტაფონი | 16 | 12 | 2 | 2 | 31:9 | 38 |
| ოლიმპი | 16 | 9 | 3 | 4 | 17:11 | 30 |
| ამერი | 16 | 9 | 1 | 6 | 26:18 | 28 |
| ბორჯომი | 16 | 8 | 4 | 4 | 21:15 | 28 |
| მესხეთი | 15 | 6 | 3 | 6 | 16:21 | 21 |
| მგლები | 15 | 6 | 1 | 8 | 15:19 | 19 |
| სიონი | 16 | 5 | 4 | 7 | 20:20 | 19 |
| სპარტაკი | 16 | 4 | 3 | 9 | 7:18 | 15 |
| მერანი | 16 | 4 | 1 | 11 | 8:25 | 13 |
| ლოკომოტივი | 16 | 3 | 2 | 11 | 9:23 | 11 |
| დილა | 16 | 1 | 4 | 11 | 7:28 | 7 |
| ბათუმი | 16 | 1 | 3 | 12 | 6:30 | 6 |

**ბომბარდირები**

11 - მ. ხუციშვილი — დინამო
10 - მ. მერებაშვილი — დინამო
8 - გ. ნოდ. ჭელიძე — ზესტაფონი
ზ. იონანიძე — ზესტაფონი

**მეჩვიდმეტე ტური**

15 მარტი, შაბათი
ბორჯომი – ბათუმი
სპარტაკი – მგლები
მერანი – დინამო
16 მარტი, კვირა
ლოკომოტივი – ზესტაფონი
ოლიმპი – ვიტ ჯორჯია
დილა – მესხეთი
სიონი – ამერი

**გადადებული მატჩი**

ზუგდიდი. 11 მარტი. 15 საათი. გ. თუთბერიძე

**მგლები — მესხეთი**

მსაჯები: ო. ხეცაძე, ზ. ჯვარიძე, დ. კურტანიძე, გ. დოგრაშვილი

**სიმბოლური ნაკრები**

დიმიტრი ტატანაშვილი — ამერი
მათე ვაწაძე — დინამო
ჯაბა ლიპარტია — ვიტ ჯორჯია
გიორგი თურმანიძე — ბათუმი
ანტონ კოვალევსკი — ოლიმპი
დენის დობროვოლსკი — ამერი
გივი დიდავა — ამერი
თენგიზ ჩიკვილაძე — ამერი
ნიკა გუშარაშვილი — ლოკომოტივი
ზურაბ ეძონია — მგლები
ლადო ნადირაშვილი — ამერი



გიორგი ივანიშვილი

# ყენია-თარგამაძეს გაატანინეს, ივანიშვილმა კი გაიტანა

**19-წლამდელთა** ბუნდესლიგაში ლევან ყენიას და დავით თარგამაძის კარგ თამაშს უკვე მიჩვეულები ვართ. წლეულს არც „ფრაიბურგის“ და არც „შალკეს“ ჭაბუკებს თამაში არ წაუგიათ. ამჯერად ორივემ ორბურთიანი სხვაობით იმარჯვა და ორივენი მეორე ადგილზე არიან თავიანთ ზონაში.

„შალკემ“ სტუმრად 3:1 სძლია „ესენს“ და ლევან ყენიამ ერთი საგოლე პასი გააკეთა, „ფრაიბურგმა“ კი ასევე სტუმრად 2:0 დაიბრიყვა „ბურგჰაუზენი“ და ანგარიშის გამხსნელი გოლი თარგამაძის დრიბლინგს მოჰყვა — დავითმა რაჰმან საიოდუგრეს გაატანინა.

გოლი გნებავთ? გიორგი ივანიშვილმა (შვეიცარიელები ყველაშვილად იხსენიებენ) ციურიხულ დერბიში გაიტანა. ყენია-თარგამაძისგან განსხვავებით, ივანიშვილი 21-წლამდელთა გუნდში თამაშობს და „გრასჰოპერის“ თანატოლებთან 5:3 მოგებულ მატჩში ბოლო გოლი გაიტანა, მანამდე კი პენალტი მოინადირა.

ნამდვილი „ტრილერი“ კი გამოვიდა — 90-ე წუთამდე „ციურიხი“ 3:2 იგებდა და მსაჯის მიერ დამატებულ წუთებზე გავიდა სამი ბურთი.

**ილია ნანობაშვილი**

# რუსებმა მუმუს შეუტიეს
## აი, თქვენ ცუდი ლოსკოვი!



**რუსეთში** სეზონი სუპერთასით დაიწყო და მოსკოვის „ლოკომოტივში“ დავით მუჯირის დებიუტიც შედგა, თუმც თავი ვერაფრით გამოიჩინა და პირველი ტაიმის შემდეგ შეცვალეს.

რკინიგზელთა მწვრთნელმა რაშიდ რახიმოვმა ჩვენებურს დაცვაში თამაში დაუწუნა: „არ მომეწონა მუჯირის დაცვაში თამაში, თუმც ერთია — ჯერ ოპტიმალურ ფორმაში არ არის“.

ცნობილმა საფეხბურთო სპეციალისტმა იური სევიდოვმა კი მკაცრად გააკრიტიკა ქართველი ფეხბურთელი...

„მუჯირს ეტყობა, რომ თავის გუნდში არ მოხვდა. ნელა დარბის, ბურთს დიდხანს იჩერებს და ვერც გადაწყვეტილებებს იღებს სწრაფად. ქართველი დმიტრი ლოსკოვის გაუარესებული ვარიანტია, თანაც ორ-სამჯერ უფრო ცუდი. მუჯირს მოედნის ცენტრის მეფის როლი დააკისრეს, თუმცა ვეზირის დონეზეც ვერ ითამაშა. ამის გამო საკუთარი თამაში ვერ იპოვეს დინიარ ბილიალეტდინოვმა და პიტერ ოდემვინგიმ“.

შეგახსენებთ: „ლოკომოტივი“ სუპერთასზე 1:2 დამარცხდა სანკტ პეტერბურგის „ზენიტთან“.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ქართველთა რუსულ-თურქული ამბები

**ჩემპიონატის** დაწყებამდე თურქულ შეკრებებს აგრძელებენ რუსული გუნდები.

ყაზანის „რუბინმა“ საკონტროლო მატჩში 3:0 მოუგო პოდოლსკის „ვიტიაზს“. დავით კვირკველია სასტარტოში იყო და 75-ე წუთზე ლაშა სალუქვაძემ შეცვალა.

ნუკრი რევიშვილი ტრავმირებულია და უქმობს.

ორი საკონტროლო მატჩი გამართა ერთ დღეში ნალჩიკის „სპარტაკმა“ — ლვოვის „კარპატთან“ 3:2 მოგებულ მატჩში არც ერთ ქართველს არ უთამაშია, ხოლო კრასნოდარის „ყუბანთან“ 0:1 წაგებულ შეხვედრაში მხოლოდ ალექსანდრე ამისულაშვილი გაისარჯა.

ამისულაშვილის გარდა ნალჩიკელთა გუნდში გოგიტა გოგუა და დავით სირაძე ირიცხებიან.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ქეცბაიას ნაბიჯი: დარჩა პლეი ოფი



**კვიპროსის** რეგულარული ჩემპიონატის დასრულებამდე ორი ტური დარჩა, თუმცა თემურ ქეცბაიას გაწვრთნილმა „ანართოსისმა“ უკვე იზეიმა პირველობა — ფამაგუსტელები რვა ქულით უსწრებენ მეორეადგილოსან აპოელ-ს.

ქვეყნის ჩემპიონობამდე „ანართოსისს“ პლეი ოფი ელის. კვიპროსში რეგულარული ჩემპიონატის დასრულების შემდეგ პირველ ოთხ ადგილზე გასული გუნდები დაწყვილდებიან. „ანართოსისთან“ შეხვედრის დიდი შანსი აქვს ლევან მაღრაძის „აპოლონს“, რომელიც მეოთხე ადგილზეა. ლევან ქებაძის „ეთნიკოსმა“ კი პლეი ოფში მოხვედრის შანსი უკვე დაკარგა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# საქართველო სენეგალს ასცდა




**26 მარტს** ბულგარეთის ნაკრები ფინეთში ითამაშებს ამხანაგურად და ბალკანელთა მწვრთნელმა პლამენ მარკოვმა საამხანაგოდ სენეგალელი იბრაჰიმ გაიც გამოიძახა, თუმც...

მოდით, ჯერ გაიზე ვთქვათ, სად სენეგალი და სად ბულგარეთი: გაი სერბულ „ცრვენა ზვეზდაშია“, თუმც თავის დროზე ბულგარეთის ჩემპიონატშიც უთამაშია და ამ ქვეყნის მოქალაქეობაც მიუღია.

თუმცა გაი მაინც ვერ მოირგებს ბულგარულ მაისურას — ფიფამ გამოიკვლია, რომ მას სენეგალის ასაკობრივ ნაკრებში აქვს ნათამაშევი და ბალკანელებს თითი დაუქნია.

**ილია ნანობაშვილი**

# ქართველები უცხოეთში

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **იტალია. სერია A** | | | | | | | | |
| კახა კალაძე | მილანი | ს | ემპოლი 3:1 | 90 | | 21 | 0 | 5 |
| ლევან მჭედლიძე | ემპოლი | შ | მილანი 1:3 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 18 |
| **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| ზურაბ ხიზანიშვილი | ბლექბერნი | შ | ფულემი 1:1 | 90 | | 14 | 0 | 7 |
| **ავსტრია. მაქსბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| გიორგი შაშიაშვილი | შტურმი | ს | რაპიდი 1:2 | 0 | სათადარიგო | 26 | 0 | 5 |
| **გერმანია. ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ლევან კობიაშვილი | შალკე | ს | არმინია 2:0 | 90 | | 10 | 1 | 5 |
| ალექსანდრე იაშვილი | კარლსრუე | ს | ბაიერნი 0:2 | 90 | | 19 | 0 | 6 |
| **გერმანია. მეორე ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ოთარ ხიზანეიშვილი | ფრაიბურგი | ს | ლაუტერნი 0:0 | 0 | განაცხადში არ იყო | 2 | 0 | 7 |
| გიორგი ონიანი | კარლ ცაისი | შ | ვეჰენი 2:2 | 0 | განაცხადში არ იყო | 9 | 0 | 17 |
| ილია კანდელაკი | კარლ ცაისი | შ | ვეჰენი 2:2 | 0 | სათადარიგო | 10 | 0 | 17 |
| გიორგი სეთურიძე | კარლ ცაისი | შ | ვეჰენი 2:2 | 0 | სათადარიგო | 0 | 0 | 17 |
| **ესპანეთი. პრიმერადივიზიონი** | | | | | | | | |
| შოთა არველაძე | ლევანტე | ს | სევილია 1:2 | 0 | განაცხადში არ იყო | 0 | 0 | 20 |
| **რუსეთი. სუპერთასი** | | | | | | | | |
| მალხაზ ასათიანი | ლოკომოტივი | ნ | ზენიტი 1:2 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | |
| დავით მუჯირი | ლოკომოტივი | ნ | ზენიტი 1:2 | 45 | შეცვალეს | 1 | 0 | |
| **შვეიცარია. სუპერლიგა** | | | | | | | | |
| სანდრო იაშვილი | თუნი | ს | ციურიხი 0:4 | 45 | შეცვლაზე შევიდა | 17 | 1 | 10 |
| **ჩეხეთი. გამბრინუსლიგა** | | | | | | | | |
| გიორგი განუგრავა | ბოლესლავი | ს | მოსტი 1:2 | 0 | სათადარიგო | 0 | 0 | 7 |
| **უკრაინა. ვიშა ლიგა** | | | | | | | | |
| ოთარ მარცვალაძე | დინამო | შ | მ. ზაპოროჟიე 2:1 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 2 |
| დავით იმედაშვილი | დინამო | შ | მ. ზაპოროჟიე 2:1 | 0 | განაცხადში არ იყო | 0 | 0 | 2 |
| კახა ალადაშვილი | ხარკოვი | შ | კრივბასი 0:0 | 63 | გააფრთხილეს, შეცვალეს | 2 | 0 | 13 |
| ლადო ბურდული | ზარია | შ | ჩერნომორეცი 0:2 | 34 | შეცვლაზე შევიდა | 17 | 0 | 10 |
| ლაშა ჯაკობია | ვორსკლა | შ | შახტარი 0:1 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 15 |
| ირაკლი მოდებაძე | კრივბასი | ს | ხარკოვი 0:0 | 0 | | 0 | 0 | 8 |
| ჯაბა კანკავა | დნიპრო | ს | ნეფტიანიკი 1:1 | 0 | | 15 | 3 | 3 |
| სანდრო კობახიძე | დნიპრო | ს | ნეფტიანიკი 1:1 | 0 | | 0 | 0 | 3 |
| გიორგი დემეტრაძე | არსენალი | ს | ზაკარპატიე 1:1 | 15 | შეცვლაზე შევიდა | 17 | 2 | 11 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*

ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვას წარმოგიდგენთ
სლოტ პოკერ კლუბი VEGA

ჩემპიონთა ლიგა 2007-2008
მერვედფინალი. საპასუხო მატჩი. დღეს

# ინტერმა ისტორიის წიგნი გადაშალა

**ინტერი (იტალია) — ლივერპული (ინგლისი) (0:2)**
**სავარაუდო შემადგენლობები**
**ინტერი:** ჟულიო სეზარი, მაიკონი, ბურდისო, კივუ, ძანეტი, ფიგუ, კამბიასო, სტანკოვიჩი, ხიმენესი, კრუზი, იბრაჰიმოვიჩი
**მწვრთნელი:** რობერტო მანჩინი
**ლივერპული:** რეინა, ფინანი, კარაგერი, ჰიპია, აურელიო, ჯერარდი, მასკერანო, ლეივა, ბაბელი, ტორესი, კუიტი
**მწვრთნელი:** რაფაელ ბენიტესი
**მსაჯი:** ტომ-ჰენინგ ოვრებო (ნორვეგია)

**შაბათს** „ინტერმა" ასწლოვანი იუბილე იზეიმა და არცთუ შთამბეჭდავი თამაშით „რეჯინა" 2:0 დაამარცხა. გოლები ზლატან იბრაჰიმოვიჩმა (პენალტით) და ნიკოლას ბურდისომ გაიტანეს. შვედ ფორვარდს ტრავმის გამო ორი კვირა გაუცდა, დაბრუნება კი გოლით აღნიშნა. ხულიო კრუზი სათადარიგოებში იყო, ხოლო ერნან კრესპო დაშავდა და მეორე ტაიმში შეცვალეს.

დღეს, სავარაუდოდ, იბრაჰიმოვიჩი-კრუზის წყვილი შეუტევს, რადგან კრესპოს გამოკეთებას დაახლოებით კვირა დასჭირდება. „რეჯინასთან" მატჩი გამოტოვა კრისტიან კივუმ, მარცხენა მცველად კი ხავიერ ძანეტიმ ითამაშა. რუმინელი „ლივერპულთან" იქნება და ნიკოლას ბურდისოსთან ერთად ცენტრს დაიკავებს, რადგან მარკო მატერაცი დისკვალიფიცირებულია. ტრავმის გამო „ინტერს" მაქსველი, ვალტერ სამუელი და ივან კორდობა დააკლდებიან.

„ინტერი" და „ლივერპული" 1965 წელს ჩემპიონთა თასის ნახევარფინალში შეხვდნენ. ინგლისში მასპინძლებმა 3:1 მოიგეს, საპასუხოში კი „ნერაძურიმ" 3:0 იმარჯვა და იმ სეზონში თასიც აიღო. იტალიელებს ისტორიის გამეორების ეიმედებათ.

რობერტო მანჩინი: „ეს დამთხვევაა, მაგრამ ხომ შეიძლება, იგივე გამეორდეს? ჩვენ კვლავ 3:0 გვჭირდება, ჩემს გუნდს კი ამ ანგარიშით მოგება შეუძლია. პირველ მატჩში „ლივერპულმა" ბევრი მომენტი ვერ შექმნა, თუმც კაცნაკლულები ვიყავით და თამაშის ბოლოს დალლა დაგვეტყო, რაც გადამწყვეტი აღმოჩნდა. სამშაბათ საღამოს მოედანზე განსაკუთრებული განწყობით უნდა გავიდეთ, მეტოქეს გონს მოსვლა არ ვაცალოთ და ფანების მხარდაჭერით გულიანად შევუტიოთ. საჯარიმოებისა და კუთხურების შესრულებისას, რაც შეიძლება ნაკლებად უნდა დავჯარიმდეთ".

1965 წლის ზემოხსენიებულ „მატჩში" სამიდან ერთი გოლი მარიო კორსომ გაიტანა რომელმაც ასე იხუმრა: „ვფიქრობ, „ინტერმა" ლივერპულში 0:2 შეგნებულად წააგო, რათა იგივე გაიმეოროს, რაც ჩვენ გავაკეთეთ. მაშინ მე მერვე წუთზე შევაგდე და ახლაც სწრაფი გოლი გვჭირდება. გუნდში ყველამ უნდა ირწმუნოს, რომ ორბურთიანი სხვაობის გაბათილება შესაძლებელია".

თავისი იუბილე აქვს ჯეიმი კარაგერს, რადგან „ინტერთან" მატჩი მისთვის ევროთასებზე მეასე იქნება. ინგლისელმა მცველმა პირველი ევრომატჩი 1997 წლის სექტემბერში „სელტიკის" წინააღმდეგ ითამაშა.

„სან სიროზე" არასოდეს ვყოფილვარ და ძალიანაც მაინტერესებს იაური ატმოსფერო — თქვა კარაგერმა — ვიმედოვნებ, რომ გოლს თავიდანვე გავიტანთ და მეტოქეს უშანსოდ დავტოვებთ. სამი ინგლისური კლუბი უკვე გავიდა მეოთხედფინალში და ამის გამო წნეხის ქვეშ ვართ. ძალიან მინდა, პრემიერლიგელთა კამპანიას შევუერთდეთ".

„ლივერპული" საუცხოო ფორმაშია და მიჯრით ხუთი მატჩი მოიგო. რაფაელ ბენიტესის გუნდმა შაბათს „ნიუკასლი" პენანტის, ტორესისა და ჯერარდის გოლებით დაამარცხა.

„ჩემპიონთა ლიგაში უკეთ ვთამაშობთ, ვიდრე პრემიერლიგაში, რაც მეტოქეებზე ფსიქოლოგიურად მოქმედებს და ეგებ ამ ჯადომ „ინტერთანაც" გაჭრას. „ლივერპულმა" „სან სიროზე" ჭკვიანურად უნდა ითამაშოს, საამისოდ კი გამოცდილი ფეხბურთელები არ გვაკლია" — თქვა ესპანელმა მწვრთნელმა, რომელსაც ტრავმირებული მხოლოდ სტივ ფინანი ჰყავს. ხავიერ მასკერანომ „ნიუკასლთან" მატჩი გამოტოვა, მაგრამ გამოკეთდა და გუნდს მილანში გაჰყვა.




**ვაჟა ხუციშვილი**

# გაქცევა არწივის ბუდიდან


ხოსე ანტონიო კამაჩო

**„ბენფიკას"** მწვრთნელი ხოსე ანტონიო კამაჩო თავისი ნებით გადადგა. კვირას, ბოლოადგილოსან „ლეირიასთან" ლისაბონელმა „არწივებმა" 2:2 ითამაშეს, რის გამოც ესპანელი გაბრაზდა და კლუბიდან აიბარგა.

ჩემპიონატის დასრულებამდე რვა ტურით ადრე „ბენფიკა" მეორე ადგილზეა და „პორტუს" 14 ქულით ჩამორჩება. გუნდმა გასულ ხუთშაბათს უეფას თასზე „ხეტაფესთანაც" წააგო (1:2).

„ვფიქრობ, რომ ჩემი წასვლა „ბენფიკას" წაადგება, მოტივაცია დავკარგე, რადგან შინ შვიდი მატჩი ფრედ დავასრულეთ და ერთში დავმარცხდით. ფეხბურთელები უმოტივაციოდ არიან, ვერაფრით გამოვაფხიზლე, ასეთ პირობებში კი მუშაობას აზრი არ აქვს. პრეზიდენტს ვესაუბრე და ავუხსენი, რომ ვითარების გაუმჯობესების გზებს ვერ ვხედავ და ეგებ ახალმა მწვრთნელმა შეძლოს პრობლემების მოგვარება" — თქვა კამაჩომ.

ესპანელი შარშან ზაფხულს მივიდა „ბენფიკაში", მას შემდეგ, რაც პირველივე ტურის მერე ფერნანდუ სანტუში მოხსნეს. კამაჩოს სამწლიანი კონტრაქტი ჰქონდა გაფორმებული. იგი 2003-04-ის სეზონშიც მუშაობდა ლისაბონურ კლუბში, მანამდე კი „რეალში" „ესპანიოლსა" და „რაიო ვალეკანოში" იყო. რაც შეეხება ნაკრებს, ესპანეთმა მის ხელში ევრო 2000-ზე და მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატზე მეოთხედფინალში გააღწია.

„ბენფიკას" დროებით ფერნანდუ შალანა უთავკაცებს.

**ვაჟა ხუციშვილი**

## როგორც ედუარდო იტანჯება...

**ფიფა** დამატებით სასჯელს ითხოვს მარტინ ტეილორისთვის, რომელმაც 23 თებერვალს ედუარდოს ფეხი მოტეხა. „ბირმინგემი" — „არსენალის" მატჩის მესამე წუთზე მასპინძელი ტეილორი გაშლილი ფეხით წავიდა ედუარდოსკენ და ხორვატ ფორვარდს წვივში ჩასცხო. შედეგად „მეთოფე" ფეხბურთს ცხრა თვით ჩამოშორდა.

„ჩვენ განვიხილავთ ასეთ შემთხვევებს და უხეშობისთვის სასჯელს გავამკაცრებთ. ერთ-ერთი ვარიანტი ისაა, რომ რამდენი ხანიც გაუცდება ტრავმირებულს, დამნაშავეც იმავე ვადით მოიკვეთოს ფეხბურთიდან. მაისში ამ საკითხზე კონგრესზე ვიმსჯელებთ და დანდობა არ იქნება. არ შეიძლება, ფეხბურთელმა ფეხბურთელი გაიმეტოს. ეს ხომ სამუშაოა და ისინი ამით ცხოვრობენ" — თქვა ფიფას პრეზიდენტმა იოზეფ ბლატერმა.

## კრუიფი VS ვან ბასტენი

**იოჰან კრუიფი** „აიაქსის" სამწვრთნელო შტაბის მრჩევლად ორი კვირის წინ დანიშნეს, მაგრამ „მფრინავი ჰოლანდიელი" გუნდის მომავალ მწვრთნელ მარკო ვან ბასტენთან ვერ მორიგდა და პოსტი მიატოვა. შეგახსენებთ, რომ ვან ბასტენი „აიაქსს" ევრო 2008-ის შემდეგ ჩაიბარებს.

კრუიფმა თავისი იდეები გაუზიარა მწვრთნელს კლუბის ბავშვთა სკოლასთან დაკავშირებით, თუმც ვან ბასტენი არ დაეთანხმა. „მისი გეგმა ნაადრევი და რადიკალური იყო. სკოლაში პრობლემებს ჯერჯერობით ვერ ვხედავ და იქ ყველაფერი რიგზეა. თავად გავერკვევი ვითარებაში და საჭირო ზომებს მივიღებ" — თქვა „აიაქსის" მომავალმა თავკაცმა.

**ვაჟა ხუციშვილი**

## მექსიკა

**კლაუსურა. IX ტური**

**ამერიკა — სან ლუისი 1:2; პუებლა — სანტოსი 3:3; ატლანტე — კრუზ ასული 2:3; ხაგუარესი — ატლასი 2:0**

## არგენტინა

**კლაუსურა. IV ტური**

**არსენალი — ხიმნასია (ხ) 3:3; ესტუდიანტესი — რივერ პლეიტი 0:0**

# წერილი სინანულისა







პოლ გესქოინმა ავტობიოგრაფიულ წიგნს „ჩემი ისტორია", ასე მიაწერა: ჯიმ, „ჩემი ისტორია შენ ხარ

იცით, ვინ არის ჯიმი გარდნერი, მეტსახელად ხუთლიპა? ეს არის ფსიქიატრიულ საავადმყოფოდან პარასკევს გამოშვებული ძველი დიდვარსკვლავის, პოლ გესქოინის ძმაკაცი, რომელსაც აგერ უკვე 30 წელიწადზე მეტია, ჭირსა თუ ლხინში გვერდით უდგას და თუკი გაზა თავის გულისნადებს ვინმეს ანდობს, ეს ჯიმია. დღეს, ხუთლიპა დაზაფრულია, მისი უახლოესი კაცი დეპრესიაშია და ყველაფრის მიზეზი, აბა, ვინ იცის, თუ არა გარდნერმა. სწორედ ხუთლიპას უთხრა გაზამ საშინელი სიტყვები: მე უკვე საკმარისად ვიცხოვრე, მეყოფა...

## პოლ გესქოინი ჩონჩხს ჰგავდა

**სწორედ** ხუთლიპა გახლავთ ის ადამიანი, რომელსაც კარგად ახსოვს ბოლო ოპერაციის შემდეგ ყავარჯენზე შემდგარი ძმაკაცი, რომელიც მიუტრიალდა და უთხრა:

„მე ფეხბურთს ვეღარასოდეს ვითამაშებ. ამიერიდან ჩემს არსებობას აზრი დაეკარგა. რაღასთვის უნდა მიხაროდეს ხვალინდელი დღე? უკვე საკმარისად ვიცხოვრე, მეყოფა".

The News Of The World-ისთვის მიცემულ ინტერვიუში 42 წლის ჯიმი გარდნერმა ტირილით მოყვა, როგორ ჩაუსვეს პოლს დეკემბერში ტიტანიუმის ძვალი, მაგრამ ის ოთხი კვირით სასტუმროს ოთახში ჩაიკეტა და სასოწარკვეთილებას მიეცა. დღეში პურის მხოლოდ ერთ ნაჭერს ჭამდა, სიგარეტის, სასმელის და ანტიდეპრესანტების სხვადასხვა კოქტეილებს იგონებდა და დღედაღამ იჭყიპებოდა. თავს შვილებისა და საფეხბურთო სამყაროსგან გარიყულად გრძნობდა და როდესაც ხუთლიპამ გაუბედა, დახმარება გჭირდებაო, გინების საშინელი ნიაღვარი დაატეხა თავს.

სწორედ იმ დღის გახსენებაზე წყდება ჯიმის გული ყველაზე მეტად და განა იმიტომ, რომ შეურაცხყოფილი დარჩა... იგი ხომ სწორედ ის ხუთლიპა ბიჭია, ექვსი წლიდან მართლა ყველაფერში გვერდით რომ ედგა ძმაკაცს, იმ დღეს კი...

„პოლი ჩემთვის ძმაზე მეტია. გამორიცხულია, მისთვის ცოლს გაეგო ოდესმე ისე, როგორც მე მესმოდა, მაგრამ 14 იანვარს ვერასდროს დავივიწყებ. იმ დღეს პოლი ისე იყო დათრგუნული, რომ მეც კი გამომლანძღა, მე კი, ჩემდა სამარცხვინოდ, გავბრაზდი და წამოვედი. არადა, იმ დღეს ყველაზე მეტად ვჭირდებოდი.

პოლი მაშინ გეთსჰედში, „მერიოტში" იყო ჩაკეტილი. იმ დღეს დამირეკა, სიგარეტი ამომიტანეო. ვიცი, შემწვარი წიწილა უყვარს, ვუყიდე და ერთი ბოთლი კეჩუპიც ავაყოლე. მას უყვარს პომიდვრის კეჩუპი და მეგონა, გაახალისებდა.

მაგრამ, როდესაც ოთახის კარი გამიღო და შევხედე, გავშრი. ის საშინლად გამოიყურებოდა. ის იდგა ხალათში, ჩონჩხივით გამხდარი, გადმოკარკლული თვალებით. შოკისგან ცრემლები წამსკდა. კარგად არ გამოიყურები, ძმაო — მივმართე ტირილით, ის კი მეკითხება, რას გულისხმობო. გამხდარი ხარ, საჭმელს არ ჭამ მეთქი. რას ლაპარაკობ, თავს შესანიშნავად ვგრძნობო.

— არა, — არ დავუთმე მე — არ ხარ კარგად. ავადმყოფის შესახედაობა გაქვს. აშკარად ცუდად ხარ.

აი, ამ სიტყვების მოსმენაზე ღრიალი მორთო:

— ფაქ ოფ აქედან, შე სქელო ტრ...ო.

ამის მოსმენა საშინელება იყო, მით უფრო, რომ თვალებში არაჯანსაღი გამომეტყველება ედგა.

მართალი გითხრათ, შევშინდი კიდეც. ასეთი სიტყვები პოლს ჩემთვის არასოდეს უკადრებია. უკვე აშკარა გახლდათ, რომ რაღაც ძალიან სერიოზული სჭირდა, მაგრამ მე საძაგლად მოვიქეცი — მეწყინა და გაბუტული წამოვედი. მას მერე პოლი აღარ მინახავს."

მოკლედ, ხუთლიპა ძმაკაცის ოთახიდან გამოვიდა, გაზამ კი მესიჯი დააწია: რატომ მითხარი ასეთი რამ? მე ხომ კარგად ვარ!

ამის შემდეგ ჯიმის ტელეფონი ისევ აწკარუნდა. პოლის ახალი მესიჯი იყო: შეგიძლია ფაქ ოფი გააკეთო.

საშინლად გავბრაზდი. ამ ლანძღვის ატანა შეუძლებელი იყო — განაგრძობს ხუთლიპა და სინანულით დასძენს — ახლა კი თავს საშინელ საყვედურს ვეუბნები. მისთვის ზურგის შექცევის ნაცვლად, უნდა მივბრუნებულიყავი და მხარში ამოვდგომოდი. მას სწორედ მაშინ სჭირდებოდა მხარდაჭერა. გავიდა მას მერე ოთხი კვირა, ოთხი კვირა ჩემს გარეშე, და პოლს ფსიქიატრიული საავადმყოფო დასჭირდა".

და ისევ, ჯიმის ღრმა რწმენით ყველაფერი ორსაათიანი ბოლო ოპერაციის შემდეგ დაიწყო.

„სწორედ მაშინ დაიწყო სულიერად დაცემა — ამბობს ხუთლიპა — პოლს არ უნდოდა, ვინმეს მისი გულგატეხილობა ენახა და ოთხი კვირით სასტუმროში ჩაიკეტა. დეპრესიამ მის სულში მაშინ დაისადგურა, როდესაც მიხვდა, რომ ფეხბურთს ვეღარასოდეს ითამაშებდა. მისი გამხნევება მაშინვე ვცადე, პოლმა კი სევდიანად შემომხედა და მითხრა, რომ ყველაფერი ყელში ამოუვიდა. ეს საშინელება იყო. უარესიც კი შეიძლებოდა მომხდარიყო. წარმოიდგინეთ, ყოველ დილით გულისხეთქვით ველოდი ცნობას პოლის სიკვდილის შესახებ. ყველაზე მეტად დოზის გადაჭარბებისა მეშინოდა. მალიმალ მივდიოდი სანახავად, ათასნაირად ვცდილობდი მის გამხნევებას და გამხიარულებას, მაგრამ ის არ იღიმებოდა და სულ განმარტოებას ცდილობდა. ერთი-ორჯერ მასთან დილის ხუთ საათამდეც კი დავრჩი. ჩემს შეთავაზებაზე: პოლ, ჭამე რამე — გაბრაზებით მპასუხობდა, შენ ჩემი ცოლი არ ხარ და ჩემი ჭამა შენი საქმე არ არისო. მან კარგად იცოდა, რომ სმა და მოწევა მისთვის არაფრით შეიძლებოდა, მაგრამ არ ცხრებოდა".

The News Of The World-ისთვის მიცემულ ინტერვიუში ხუთლიპა ჯიმი ამის შემდეგაც ბევრს ყვება, თუმცა იმისგან დიდად განსხვავებულს, რაც აქამდე გიამბეთ, აღარაფერს ამბობს და ამიტომ საკმაოდ მძიმე თემით თქვენს გადაღლასაც მოვერიდებით. მხოლოდ სტატიის ბოლო წინადადებას მოვიყვანთ.

ჯიმი გარდნერი: „სამი სურვილის უფლება რომ მქონდეს, აი, რას ვინატრებდი: პოლს ფეხბურთში რამე საქმე გამოუჩნდეს, სახლში თავისთვის, მყუდროდ მოეწყოს და ნახოს ქალი, რომელიც მას ისეთს შეიყვარებს, როგორიც არის..."

**პაპუნა ქედია**

## ის არ არის ძველი ბიჭი

**ფაბიო კაპელო** მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატზე გასვლას მაიკლ ოუენის დახმარების გარეშე აპირებს — ნიუკასლელი ვარსკვლავი მისთვის ნომერ მეოთხე თავდამსხმელია.

მეორე მხრივ, ნუ გაგიკვირდებათ, თუ 28 წლის ფორვარდის გვარს საფრანგეთის ნაკრებთან ამხანაგური შეხვედრისთვის გამოძახებულთა სიაში აღმოაჩენთ. დიახ, ის შეიძლება გამოიძახონ, მაგრამ ფაქტი მაინც ფაქტად დარჩება: უეინ რუნი და პიტერ კრაუჩი ხომ ულაპარაკოდ პირველი და მეორე ნომრები არიან, „ასტონ ვილას" თავდამსხმელი გაბრიელ აგბონლაჰორი კი თებერვალში, შვეიცარიის წინააღმდეგ კაპელომ მხოლოდ იმიტომ არ ათამაშა, რომ ის ტრავმირებული გახლდათ. ერთი სიტყვით, დადგება სექტემბერი, დაიწყება შესარჩევი შეჯიბრება და ოუენმა, მისდა სამწუხაროდ, ნაკრებში შესაძლოა საერთოდ ვეღარ იპოვოს ადგილი.

ფაბიო კაპელოსთან დაახლოვებულმა წყარომ The News Of The World-ს უთხრა: „ფაბიოს არ სჯერა, რომ მაიკლი ისევ ისეთი დონის თავდამსხმელი გახდება, ოდესღაც რომ იყო. შვეიცარიასთან შეხვედრაში მისი გამოძახება უფრო უკიდურეს ზომას ჰგავდა, ვიდრე სასურველ ნაბიჯს. კაპელომ, რასაკვირველია, კარგად იცის, რომ ოუენს ინგლისის ნაკრების შემადგენლობაში დიდი მატჩები აქვს ნათამაშები, მაგრამ არ სჯერა, რომ მაშინდელი ფორმის აღდგენას შეძლებს. სხვა საქმეა, რომ ფაბიოს ამ დამსახურებული კაცის ქვასავით მოსროლა არ უნდა და რაკილა მაიკლი თავგამოდებით ვარჯიშობს, მის ყოველ ნაბიჯს სერიოზულად დააკვირდება. თუმცა, იმისთვის, რომ ინგლისის ნაკრებში ადგილი დაიბრუნოს, ოუენმა ძველებურად გოლის გოლზე გატანა უნდა დაიწყოს".

ოუენი, ცხადია, ყველა ღონეს იხმარს, რათა კაპელოს დაუმტკიცოს, რომ იტალიელი ცდება.



**პაპუნა ქედია**

# ტოტი 500

სერია A-ს 27-ე ტურის საუკეთესო მოთამაშე „რომას" კაპიტანი ფრანჩესკო ტოტია, რომელმაც მიმდინარე ჩემპიონატში ჩატარებულ მეჩვიდმეტე მატჩში მეცამეტე გოლი შეაგდო და საიუბილეო თამაში ასე აღნიშნა. ყველაფერს დაწვრილებით channel4.com-ის ტრადიციული ჩანახატიდან შეიტყობთ



## გამარჯვებულები

***ფრანჩესკო ტოტი (რომა)*** — ჩემპიონთა ლიგიდან „რეალის" გამოგდების მერე „გლადიატორთა" კაპიტანმა „ნაპოლის" პენალტი გაუტანა. დედაქალაქელები „ინტერის" დევნას აგრძელებენ. ალბათ გახსოვთ, რომ წინა სეზონში „ერ პუპონე" პენალტებს ხშირად აფუჭებდა, მაგრამ მიმდინარე ჩემპიონატში იგი ამ მხრივაც შეუცდომელია. ეს იყო ტოტის მეხუთასე ოფიციალური მატჩი „ჯალოროსის" მაისურით და „სტადიო სან პაოლოზე" მას თვალები უბრწყინავდა.

***ჟულიო სეზარი (ინტერი)*** — იმაში, რომ „ნერაძური" კვლავ საკმაო უპირატესობით ლიდერობს სერია A-ს, ლომის წვლილი გუნდის მეკარეს მიუძღვის. დღესდღეობით მილანელები არცთუ კარგ ფორმაში არიან და ამის გათვალისწინებით ჟულიო სეზარი თანდათანობით „ინტერის" სეზონის საუკეთესო მოთამაშედ იქცევა. მის მიერ „რეჯინასთან" მოგერიებულ რთულ ბურთებს გატანილ გოლზე მეტი ფასი აქვს.

***მასიმო ამბროზინი (მილანი)*** — თითქმის ყოველთვის, როცა „როსონერის" უჭირს, იგი მუშა ცხენივითაა. „ამბროსგან" რაღაც სასარგებლოს უნდა ელოდო. ასე მოხდა ამჯერადაც, თავდასხმაში პრობლემების მქონე მილანელები „ემპოლის" ალბათ ვერ მოუგებდნენ, 86-ე წუთზე მას ზუსტი თავურით უმნიშვნელოვანესი გოლი რომ არ შეეგდო.

## დამარცხებულები

***ჯამპაოლო პაცინი (ფიორენტინა)*** — წინა ტოსკანურ დერბიში მან ისეთი გოლი ვერ გაიტანა, რომ ყველამ ეს ეპიზოდი „სეზონის მომენტად" შერაცხა. ახლა ახალგაზრდა ფორვარდმა თავისი „მიღწევა" გააუმჯობესა — „სიენას" მეკარე ალექს მანინგერი დაწოლილი იყო, მაგრამ პაცინიმ ექვსი მეტრიდან კარს ვერ დაუმიზნა. ამჯერად, „იებს" ეს ძვირად დაუჯდათ.

***ანდრეა გასბარონი (პარმა)*** — მას სურდა, თავისი ყოფილი გუნდის წინააღმდეგ თავი გამოეჩინა და მართლაც ძალიან ცდილობდა, მაგრამ კრისტიანო ლუკარელისთვის არ უნდა ეთხოვა, პენალტი დამარტყმევინეო. თერთმეტმეტრიანის ნიშნულიდან მან ძელს გაარტყა ბურთი, „პარმა" კი დამარცხდა. მიმდინარე სეზონში ეს იყო „ენიო ტარდინის" ბინადართა მესამე გაცუდებული პენალტი ექვსი დარტყმულიდან.

***მიკელე კანინი (კალიარი)*** — გადარჩენისთვის ბრძოლისას ყველა დეტალი მნიშვნელოვანია, მით უმეტეს ავტოგოლი. თავად წარმოიდგინეთ, რა მტკივნეულია, როცა ერთ-ერთ უშუალო კონკურენტთან შეხვედრაში საკუთარ კარში გაიტან და ამ გოლით შენი გუნდი წააგებს.

## გოლები

***ზდენეკ გრიგერა (იუვენტუსი)*** — კვირის საღამომდე იგი ტურინელთა ერთ-ერთ წარუმატებელ შენაძენად ითვლებოდა, თუმცა „ჯენოასთან" მატჩში ჩეხმა თავი გამოიჩინა. მან დაახლოებით 25 მეტრიდან საშინელი ძალით დაარტყა და მნიშვნელოვანი გოლიც გაიტანა.

***კრისტიან სილვესტრი (კატანია)*** — ალბათ დაგვეთანხმებით, რომ ცუდი არ არის, მით უფრო მცველისთვის, როცა სერია A-ში პირველ გოლს მშვენიერი მაკრატელათი გაიტან.

***მასიმო მაკარონე (სიენა)*** — მისმა ჩინებულმა საჯარიმო დარტყმამ ტოსკანური დერბი მოიგო. ბურთი ისე ზუსტად შევარდა სებასტიან ფრეის კარში, თითქოს მაკარონეს ლაზერით ჰქონდეს დამიზნებული.

## რიცხვები

***იუბილარები:*** გამორჩეული ტური გამოდგა. 9 მარტს „ინტერმა" დაარსების ასიწლისთავი აღნიშნა. იმავდღეს ტოტიმ „რომას" მაისურით მეხუთასე მატჩი ითამაშა. „გლადიატორთა" თავკაცმა ლუჩანო სპალეტიმ კი მწვრთნელის რანგში სერია A-ში მესამასე შეხვედრა ჩაატარა.

***სტუმრობა ნეაპოლში:*** „რომამდე" ე. წ. „შვიდი დისგან" მიმდინარე სეზონში ნეაპოლში ქულაც კი არავის აელო: „სან პაოლოზე" „ინტერი", „უდინეზე", „იუვენტუსი" და „სამპდორია" დამარცხდნენ, „ფიორენტინას" და „მილანს" კი იქ ჯერ კიდევ სათამაშო აქვთ. „ჯალოროსის" ბოლო 13 შეხვედრიდან „ნაპოლისთან" ოდენ ერთხელ აქვს წაგებული — 1997 წელს.

***დერბული ამბები:*** „ფიორენტინას" მიმდინარე ჩემპიონატში ხუთივე ტოსკანური დერბი მოეგო — ორ-ორჯერ „ლივორნოსა" და „ემპოლისთან", ერთხელ კი „სიენასთან". თუმცა სიენელთა მეორედ ძლევა ფლორენციელებს არ გამოუვიდათ. „სიენას" „იებისთვის" სერია A-ში აქამდე მხოლოდ ერთხელ მოეგო — 2005 წლის 20 თებერვალს ტორე ანდრე ფლოს კინკილა გოლით. კიდევ ერთი დიდი ნავსი „ტორინომ" გატეხა. ტურინელებმა ბოლო 29 წლიწადში უმაღლეს ლიგაში შინ მხოლოდ მეორედ მოუგეს „ატალანტას".

**გიორგი ძაძამაძე**

# უთავო პარმა




**გადარჩენისთვის** მებრძოლი „პარმას" მწვრთნელ დომენიკო დი კარლოს კვირას „სამპდორიასთან" საშინაო მარცხი აპატიეს.

„გვინდა, გაუწყოთ, რომ დომენიკო დი კარლო პოსტიდან დათხოვნილია და მალე ახალი მწვრთნელი გვეყოლება. გაწეული მუშაობისთვის დიდ მადლობას ვუხდით და წარმატებებს ვუსურვებთ" — ნათქვამია „პარმას" ოფიციალურ განცხადებაში.

დი კარლოს ხელში „ენიო ტარდინის" ბინადრებმა 27 მატჩში მხოლოდ 25 ქულა მოაგროვეს და გასავარდნ ზონაში მხოლოდ იმიტომ არ არიან, რომ ბურთების სხვაობა „ემპოლიზე" უკეთესი აქვთ. გუნდმა ბოლო 10 მატჩში მხოლოდ ერთხელ იმარჯვა.

პარმელთა მწვრთნელობის კანდიდატებად უკვე ბევრ სპეციალისტს ასახელებენ, კლუბის ლეგენდის, ნევიო სკალას თამადობით, რომელიც „სამპდორიასთან" მატჩს დაესწრო და, იტალიური პრესის აზრით, მის დაბრუნებას ფანები ძალიან მოიწონებენ.

სკალა „პარმას" შვიდი წელი წვრთნიდა და კლუბთან ერთად არაერთ წარმატებას მიაღწია — უეფას და იტალიის თასების მოგების ჩათვლით.

**ქოქი ქანდელაკი**

# გრიგერას დღე

**სერია A-ში** ძალიან იშვიათად ხდება, რომ ტურინის „იუვენტუსმა" მიჯრით სამი მატჩი ვერ მოიგოს. ერთ-ერთი ასეთი შემთხვევა ამჯერად იყო და „ბიანკონერიმ" ეს წარუმატებელი სერია გენუაში „ჯენოას" დამარცხებით შეწყვიტა.

„ერთ სიამოვნებად ღირდა ამ წარუმატებელი პერიოდის მერე ბიჭების რეაქციის ხილვა. ისინი ორმაგი მონდომებით ამუშავებდნენ და ხასიათის სიმტკიცე გამოავლინეს. მთელი კვირა ვიმუშავეთ ზდენეკ გრიგერასა და ჰასან სალიჰამიჯიჩთან. შედეგიც სახეზეა. „ჯენოა" კარგ ფეხბურთს თამაშობს და თუ სივრცეს დაუტოვებ, პრობლემებს შეგიქმნის, მაგრამ გენუელთა შებოჭვა შევძელით. ცუდი პერიოდი ნებისმიერ გუნდს აქვს, მაგრამ ჩვენ „იუვენტუსი" ვართ და ყველა ბარიერს მომზადებულები შევხვდებით. რაც შეეხება ჩემს კრიტიკას, მისაღებია, როცა მას საფუძველი აქვს. დანარჩენ ლაპარაკს კი ყურადღებას არ ვაქცევ. 40 წელია, ფეხბურთში ვარ და საკმაო გამოცდილება მაქვს" — თქვა „ბებერი ქალბატონის" მწვრთნელმა კლაუდიო რანიერიმ.

დავიდ ტრეზეგეს ორ თვეზე მეტი ხანი არ გაეტანა და ნავსი გატეხა, მაგრამ „ჯენოასთან" მატჩის გმირი გრიგერა გახდა. ჩეხმა ჯერ უძლიერესი შორეული დარტყმით იხეირა, ხოლო მერე ფრანგს საგოლე პასი გაუკეთა. იგი დაცვაშიც საიმედოდ გამოიყურებოდა. არადა, გრიგერას მოედანზე გასვლა ბოლო მომენტში გადაწყდა, როცა გაირკვა, რომ კრისტიან მოლინარო ვერ ითამაშებდა.

„ძალიან კმაყოფილი და გახარებული ვარ. მინდა, უფრო და უფრო მოვუმატო, რათა გუნდის იმედები სრულად გავამართლო. ვფიქრობ, ამ მოგებით რთული პერიოდი უკან მოვიტოვეთ" — განაცხადა გრიგერამ.

სხვათა შორის, რანიერიმ გრიგერა ფლანგზე ჯორჯო კიელინის ნაცვლად დააყენა, კიელინი კი ცენტრში ნიკოლა ლეგროტალიეს შეუწყვილა, რამაც გაამართლა. ცოტა ხანი ითამაშა მივიწყებულმა ტიაგუ მენდეშმაც და რამდენიმე კარგი პასიც გააკეთა. შესაძლოა, მას თავის გამოჩენის და ძირითად შემადგენლობაში დაბრუნების კიდევ ერთი შანსი მიეცეს, თუ კრისტიანო ძანეტის ტრავმა სერიოზული გამოდგება.

„მწვრთნელს ველაპარაკე და შევთანხმდით, რომ ჯობდა დაცვის ცენტრში გრიგერას ნაცვლად მე მეთამაშა. ვფიქრობ, ჩემი და ლეგროტალიეს წყვილი მშვენიერი გამოდგა და ზდენეკიც ფლანგზე უკეთ გაიხარჯა. ჩვენი ძალა იმაშია, რომ კოლექტიურად და მჭიდროდ ვთამაშობთ, ზოგჯერ ეს სარისკოა, მაგრამ რაც შეეხება ტიაგუს, იგი უდავოდ ნიჭიერი ფეხბურთელია და ყველას გვჯერა, რომ თანდათანობით გუნდის სათამაშო სქემაში ჩაჯდება" — განაცხადა კიელინიმ.

„ჯენოას" მწვრთნელი ჯანპიერო გასპერინი: „კარგად დავიწყეთ და დებიუტში ერთ-ერთი შანსი რომ გამოგვეყენებინა, ალბათ სულ სხვა შედეგს მივიღებდით. შემდეგ რამდენიმე შეცდომა დავუშვით და დავისაჯეთ. სამწუხაროა, რომ მარკო ბორიელო არ გვყავდა".

**გიორგი ძაძამაძე**




# საჩუქრები ინტერს

**„ინტერისა"** და მსაჯების თემამ უხმაუროდ არც სერია A-ს ამ ტურის მერე ჩაიარა. „ნერაძურიმ" „რეჯინასთან" მატჩში პირველი გოლი პენალტით გაიტანა. არადა, ესტებან კამბიასო თითქოს საჯარიმო მოედანს გარეთ წააქციეს.

რეჯოკალაბრიელთა პრეზიდენტი ლილო ფოტი ძალიან გაბრაზდა: „მსაჯების შეცდომები უკვე ყოველგვარ ზღვარს სცილდება. ასი წლისთავისთვის „ინტერს" უპატივცემულოდ ხომ არ დატოვებენ და ეს პენალტი, ალბათ, საჩუქარი იყო. თითქოს ყველაფერი წინასწარ დაგეგმილი და გადაწყვეტილი გახლდათ. თან, როგორც ჩანს, არბიტრებს „რეჯინა" არ უყვართ. კრისტიან ბრიგის კარგ მსაჯად ვთვლი, მაგრამ „ატალანტასთან" შეხვედრაშიც ის იყო არბიტრი და ასევე არარსებული პენალტი დანიშნა ჩვენს კარში".

მსაჯებისა რა გითხრათ, მაგრამ სხვადასხვა კლუბის ფანებმა „ინტერი" „კარგად" დაასაჩუქრეს. ისინი „ნერაძურის" ვებგვერდს შეესივნენ და გამოკითხვები მოაწყეს. შედეგად, „ინტერის" „საუკეთესო" მატჩად 2002 წლის 5 მაისს „ლაციოსთან" წაგებული შეხვედრა დასახელდა, რის მერეც გუნდმა ბოლო ტურში სკუდეტო დაკარგა.

ყველაზე საყვარელ ფეხბურთელებად კი რონალდო და ვრატისლავ გრეშკო მიიჩნიეს...

**ქოქი ქანდელაკი**


რაული დიადი, არაგონესი — ჯიუტი

# ყვითელი ტური

**პრიმერას 27-ე ტურში „ბარსელონა“ „ვილიარეალთან“ ომში დაეცა, იქით „რეალმა“ „ესპანიოლს“ სძლია და ჩემპიონობის მაძიებელ გრანდთა შორის ქულათა სხვაობა ისევ რვამდე გაიზარდა. დებიუტანტ მწვრთნელთათვის კი ეს ტური განსჯავავებულადწარიმართა. „სარაგოსას“ მანოლო ვილიანოვამ „ატლეტიკოსთან“ დიდი დუელი მოიგო, „მურსია“ კი კვლავ აგებს, მიუხედავად იმისა, რომ სამხრეთელთა საჭესთან ახლა ხავიერ კლემენტე ადმირალობს... „რასინგი“ ევროტურნირებს ელაციცება, „ვალენსია“ კი კვლავ კომშარშია — ამჯერად „ღამურებმა“ „დეპორტივო“ ვერ დაამარცხეს...**

### ოსასუნას სამჭედლო

ადრე ნავარულ საფეხბურთო სკოლას ჩრდილოესპანური ფეხბურთის სხვა ზვიგენები, ბილბაოური „ლესამა“ და ხიხონის „სპორტინგის“ „მარეო“ ჩრდილავდნენ, თუმცა დრო მოვიდა და „ოსასუნამაც“ დაამტკიცა, რომ მის „კანტერას“ (ახალგაზრდულ გუნდს) შესანიშნავი ფეხბურთელების გამოზრდა შეუძლია.

„რეინო დე ნავარადან“ წამოჩიტული მობურთალები სათამაშოდ, ძირითადად, „ბილბაოს“ მიაშურებდნენ ხოლმე. მაგალითად, წლეულს ემიგრანტებად დავიდ ლოპესი და მუნიოსი მოგვევლინენ. ამასობაში, „ოსასუნას“ საფეხბურთო კონვეიერი მთელი სიმძლავრით მუშაობს და იქაურები (ფლანიო, ხოსერო, აწ უკვე ემიგრანტები რაულ გარსია და ხავი მარტინესი) თავიანთ სიჩაუქეს მთელ ესპანეთს უჩვენებენ. ყველაზე ახალგაზრდა ნავარელი ვარსკვლავი კი კიკე სოლაა, რომელმაც „ალმერიასთან“ შესანიშნავი გოლი გაიტანა.

### რაული — ერთადერთი და განუმეორებელი

| 13. ტატიანა გოლოვინი (საფრანგეთი) | 1693 |
| 14. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხეთი) | 1672 |
| 15. დინარა საფინა (რუსეთი) | 1627 |
| 16. ნადია პეტროვა (რუსეთი) | 1569 |
| 17. აგნეს სჟავაი (უნგრეთი) | 1489 |
| 18. შაჰარ პირი (ისრაელი) | 1475 |
| 19. აგნეშკა რადვანსკა (პოლონეთი) | 1442 |
| 20. სიბილ ბამერი (ავსტრია) | 1371 |

## საჩემპიონო რბოლა

| | |
|---|---|
| 1. მარია შარაპოვა (რუსეთი) | 1465 |
| 2. ანა ივანოვიჩი (სერბეთი) | 965 |
| 3. ჟუსტინ ენინი (ბელგია) | 875 |
| 4. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) | 845 |
| 5. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი) | 625 |
| 6. აგნეშკა რადვანსკა (პოლონეთი) | 591 |
| 7. ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 566 |
| 8. ნა ლი (ჩინეთი) | 565 |
| 9. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) | 560 |
| 10. სერენა უილიამსი (აშშ) | 525 |
| 11. ვერა ზვონარიოვა (რუსეთი) | 507 |
| 12. ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი) | 443 |
| 13. ვინუს უილიამსი (აშშ) | 441 |
| 14. პატი შნიდერი (შვეიცარია) | 426 |
| 15. ფლავია პენეტა (იტალია) | 411 |
| 16. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხეთი) | 340 |
| 17. ფრანჩესკა შიავონე (იტალია) | 321 |
| 18. შაჰარ პირი (ისრაელი) | 320 |
| 19. ლინდსი დევენპორტი (აშშ) | 315 |
| 20. ამელი მორესმო (საფრანგეთი) | 310 |

# ამერიკელთა კვირა







**გასული** კვირა წმინდად ამერიკული გამოდგა. დუბაიში ენდი როდიკის გმირობების შესახებ უკვე მოგახსენეთ, დღეს კი სემ ქუერეისა და სერენა უილიამსის ჩაუქრობაზე გეტყვით, რომლებმაც, შესაბამისად ლას ვეგასსა და ბანგალორში იყოჩაღეს. სხვათა შორის, 1996 წლის შემდეგ პირველად მოხდა, რომ ორმა ამერიკელმა კაცმა მეჩოგნემ ერთი კვირის ფარგლებში ATP-ის დონის ორი ტურნირი მოიგო. 12 წლის წინ იგივე პიტ სამპრასმა (ინდიანაპოლისი) და ალექს ობრაიენმა (ნიუ ჰევენი) გააკეთეს.

ქუერეიმ ლას ვეგასში თავისი პირველი საკარიერო ტიტული გაინაღდა. ისე, ზედიზედ მესამე კვირაა, პირველი ტურნირების მოგების მოწმენი ვხდებით — ორი კვირის წინ კეი ნიშიკორიმ დელრეი ბიჩში, გასულ კვირას კი სერგეი სტახოვსკიმ ზაგრებში იპირველეს.

ქუერეი ფინალში სამხრეთაფრიკელ კევინ ანდერსონს სამ სეტში — 4:6 6:3 6:4 გაუმკლავდა. არადა, აფრიკელს ფინალამდე სეტიც არ წაეგო და ეს შეხვედრაც უკეთ დაიწყო, როცა ამერიკელი პირველივე გეიმში დააბრეიკა. ანდერსონმა ეს უპირატესობა პარტიის ბოლომდე შეინარჩუნა და დაწინაურდა კიდეც. თუმც ამის შემდეგ იანკი თავის მოწოდებაზე გაცილებით ყურადღებიანი იყო და ამიტომაც მომდევნო ორ სეტში მეტოქეს 10 ბრეიკ-პოინტიდან ერთიც აღარ გამოაყენებინა. სამაგიეროდ, თავად ქუერეიმ თითოჯერ „გატეხა“ იოჰანესბურგის მკვიდრი, რაც მატჩის მოსაგებად სრულიად ეყო.

„მთელი კვირა კარგად ვითამაშე. კარიერაში პირველად მოვახერხე ზედიზედ 5 მატჩის მოგება და სტაბილურად მაღალ დონეზე თამაში. იმედი მაქვს, ამას მომავალშიც შევძლებ და კიდევ არა ერთ ტურნირს მოვიგებ“ — მადა გაეხსნა ქუერეის.

20 წლის კალიფორნიელის ამ ტრიუმფამდე ლას ვეგასში მასპინძლებს 10-ჯერ უჩემპიონიათ. ქუერეიმდე აქ შემდეგ იანკებს უპირველიათ: ჯონ მაკინროი (1986), ბრედ ჯილბერტი (1987), ანდრე აგასი (1993-94, 1998, 2002), ჯიმ კურიე (1995), ჟან-მაიკლ გემბილი (1999), ვინსენტ სპადეა (2004) და ჯეიმს ბლეიკი (2006).

ქუერეიზე ნაკლები წვალება დასჭირდა სერენას, რომელიც ფინალში პატი შნიდერს 7:5 6:3 გაუმკლავდა. უმცროსი უილიამსისთვის ეს პირველი ტიტულია, გასულ აპრილში მაიამიში გამარჯვების შემდეგ.

სერენა ფინალის უდავო ფავორიტად მიიჩნეოდა, მით უმეტეს, ნახევარფინალში უფროსი დის ძალიან დაძაბულ ჯახში წაქცევის შემდეგ. სერენას შტაბში მხოლოდ იმაზე წუხდნენ, ამ ოჯახურ ბატალიაში ზედმეტად ხომ არ გადაიღალაო. მაგრამ უმცროს უილიამსს დაღლილობის არავერი ეტყობოდა, მშვენივრად ჩოგნაობდა და შნიდერს ხშირად სტატისტის როლში ტოვებდა. თუმც, ამასთანავე, ამერიკელი ბლომად შეცდომებს უშვებდა და ერთხელ, პირველი სეტის შუაწელზე, ისე გაბრაზდა საკუთარ თავზე, რომ ჩოგანი დაამტვრია. ამის გამოს სერენას რეფერიმ გაფრთხილება მისცა და მოსთხოვა, დაწყნარებულიყო, უმცროს შავლას ნერვების დაოკება კი გაუჭირდა, მაგრამ როცა ეს მოახერხა, შვეიცარიელი სრულიად უპრობლემოდ მოჩოგნა:

„რა ვქნა — ასეთი ვიყავი ყოველთვის. ემოციების გარეშე ვერ ვითამაშებ და ამას ყველა უნდა შეეგუოს“ — სერენამ მსაჯი მატჩის შემდეგაც გაკიცხა.

უმცროსი უილიამსისთვის ეს 29-ე საკარიერო ტიტული გახლდათ.

**კახა ლომაშვილი**

წყალბურთი

# წყალბურთელების ძველი ამბები

## კლუბი არ არის, მოთამაშეები მიდიან

**საქართველოს** წყალბურთელთა ნაკრებმა უკრაინის ღია პირველობის მესამე ტურში სამიდან ორი თამაში რომ მოიგო, გუშინ გვეწერა. იქაურ ამბებზე უფრო დაწვრილებით კი ნაკრების თავკაცმა *სოსო მაისურაძემ* მოგვითხრო:

— პირველი თამაში „დნეპროპეტროვსკს" იოლად, 9:4 მოვუგეთ. ეს გუნდი წლეულს გადმოვიდა უმაღლეს ლიგაში და ჯერ ისეთი ძლიერი არ არის. მომდევნო დაპირისპირება მარიუპოლის პირველ გუნდთან გვქონდა, რომელიც თითქმის უკრაინის ნაკრების საბაზისო დასაყრდენია და საკმაოდ ძლიერი შემადგენლობა ჰყავს. მიუხედავად ამისა, მთელი თამაში ტოლ-სწორად ვებრძოლეთ და მეოთხე პერიოდში ჯერ კიდევ არაფერი იყო გადაწყვეტილი. ამ დროს 8:7-ს ვაგებდით. მეტი კაცი გვყავდა და ბურთიც ჩვენი იყო, თუმცა გამოუცდელმა მოთამაშემ სიტუაცია სათანადოდ ვერ შეაფასა და ბურთი მეტოქეს ჩააბარა. კონტრშეტევაზე გაგვიტანეს და დავმარცხდით — 7:9. არადა, რომ გაგვეთანაბრებინა, მოგებასაც შევძლებდით. ბელარუსის ნაკრებთანაც რთული მატჩი გამოვიდა. 11:8 ვაჯობეთ. ბიჭებმა მაგრად ითამაშეს და დამსახურებულად გავიმარჯვეთ. ახლა მესამე ადგილზე ვართ. ამ ტურზე მხოლოდ ორი სათადარიგო მოთამაშე გვყავდა. წყალბურთელებს ვერ ვასვენებდი. მხოლოდ ორი ლეგიონერი ჩამოვიდა, პავლე ჯაფარიძე („ჰანოვერი") და ილია ბუტიკაშვილი („მაგდებურგი"). იმის გამო, რომ სწავლობს, სანდრო რუსიშვილიც აქ დარჩა. ეს ბიჭი ძალიან დაგვაკლდა მარიუპოლის გუნდთან.

მომდევნო ტური აპრილის დასაწყისში დნეპროპეტროვსკში გაიმართება და იქ ხუთი თამაშის ჩატარება მოგვიწევს. თუ ლეგიონერები ვერ ჩამოვიყვანეთ, ძალიან გაგვიჭირდება. ბუტიკაშვილისა და ჯაფარიძის გარდა, რუსეთში მოთამაშე კოტე გეგელაშვილი (ცსკა) და მიშა ბალათურიაც („დინამო") დაგვჭირდება.

არადა, ახლაც ბექა ქენქაძე საუდის არაბეთში მიდის, „ალ აჰლში", სადაც მანამდე გალაქტიონ ლაითაძე გამოდიოდა. 18-ში ჩავა, ნახავენ თამაშებში და 99 პროცენტი გადაწყვეტილია, რომ დაიტოვებენ. მათ უკრაინელი მწვრთნელები ჰყავთ და მარიუპოლში ბექას დააკვირდნენ, თან ზუსტად იმ დროს მაგრად ითამაშა, 3 გოლიც გაიტანა. ჩვენთან კი, თუ კლუბი არ შეიქმნა, სხვებიც წავლენ... მაისში საწყლოსნო სახეობათა ფედერაციას საქართველოს ჩემპიონატის გამართვა უნდა და ვნახოთ, რა იქნება.

**ლექსო მაისურაძე**

რაგბი

# ჯვაროსნული ლაშქრობა გრძელდება

**ახალზელანდიური** „კრუზეიდერზი" კვლავაც შეუჩერებელია. „ჯვაროსნები" გასვლაზე ავსტრალიური „ფორსი" დაამარცხეს მატჩის დასრულებამდე ათი წუთით ადრე კეისი ლუალალას ლელოს წყალობით.

მასპინძლები 24:12 იგებდნენ, მაგრამ ახალზელანდიელთა საჩემპიონო ამბიციამ და გამოცდილებამ „ფორსის" საბრძოლო ჟინი დაჩრდილა.

პირველ ნახევარში სტუმრები თითქოს უჯიგროდ თამაშობდნენ. მათი გამთამაშებელი, „ოლ ბლექსის" ვარსკვლავი დენ კარტერიც თავის თავს არ ჰგავდა. კარტერი ზოგადად, პრაგმატულობით გამოირჩევა, მაგრამ იმ შეხვედრაში სიზუსტე აკლდა.

მეორე ტაიმის ნახევრისკენ კი გამოიღეს ხელი „ჯვაროსნებმა" და საფინალო სასტვენამდე 12 წუთით ადრე შეძლეს ანგარიშის გათანაბრება. 24:24 იყო, როცა სტუმრებმა ზემოთ ხსენებული ლელო გაიტანეს.

ავსტრალიელთაგან მშვენივრად ითამაშა მეტ ჟიტუმ. იგი ბოლო ათ წუთშიც შეეცადა არეკნებით მატჩის გადარჩენას, მაგრამ ამაოდ.

ოკლენდური „ბლუზის" წაუგებელი სერია დურბანში „შარკზმა" შეწყვიტა და მეოთხე გამარჯვება მიითვალა. სამხრეთაფრიკელებმა სტუმრები მთელი მატჩის განმავლობაში მდევრის როლში ამყოფეს. მეოცე წუთზე „ზვიგენები" უკვე 12:0-ს იგებდნენ, შესვენებისას კი ანგარიში 19:3 იყო.

ისე მოხდა, რომ მასპინძელთა მხრიდან სამივე ლელო მორკინალეებმა გაიტანეს და ეს არც არის გასაკვირი, მათ ხომ მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო შერკინება აქვთ. კიგან დენიელმა ორი და კაპიტანმა იოჰან მიულერმა ერთი ლელოთი დასაჯეს მომხვდურნი.

მეორე ნახევარში კი გავეშდა „მუსიკოსთა" გამთამაშებელი ნიკ ევანსი, ლელოც გაიტანა, ორი საჯარიმო და ერთი არეკნიც, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა და სახელიანი მობურთალეებით გადაჭედილი „ბულზი" ტურნირზე პირველად დამარცხდა.

**ზურაბ მიგრიაული**

## ზე-14 2008

ჰაილენდერზი 6:10 ჰარიკანზი
ვარათაზი 24:17 ბრამბიზი
ბულზი 31:17 ლაიონზი
ჩიფსი 22:20 ჩიტაზი
რედზი 16:34 შტორმერზი
შარკზი 22:17 ბლუზი
ფორსი 24:29 კრუზეიდერზი

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| კრუზეიდერზი | 4 | 4 | 0 | 0 | 3 | +93 | 19 |
| შარკსი | 4 | 4 | 0 | 0 | 1 | +28 | 17 |
| ბლუზი | 4 | 3 | 0 | 1 | 4 | +82 | 16 |
| ვარათაზი | 4 | 3 | 0 | 0 | 1 | +24 | 13 |
| ჰარიკანზი | 4 | 3 | 0 | 1 | 1 | +12 | 13 |
| ფორსი | 4 | 2 | 0 | 2 | 3 | -9 | 11 |
| ბრამბიზი | 4 | 2 | 0 | 2 | 2 | -4 | 10 |
| ბულზი | 4 | 2 | 0 | 2 | 0 | -28 | 8 |
| ჩიფსი | 4 | 2 | 0 | 2 | 1 | -33 | 8 |
| შტორმერზი | 4 | 1 | 0 | 3 | 3 | -13 | 7 |
| რედზი | 4 | 1 | 0 | 3 | 1 | -49 | 5 |
| ლაიონზი | 4 | 1 | 0 | 3 | 1 | -60 | 5 |
| ჰაილენდერზი | 4 | 0 | 0 | 4 | 0 | -15 | 4 |
| ჩიტაზი | 4 | 0 | 0 | 4 | 0 | -28 | 4 |

სუმო

# ქართველების ორში ორი

**წარმატებით** დაიწყეს სეზონის მეორე, მარტის ბაშო ქართველმა სუმოისტებმა, ლევან ცაგურიამ და ლევან გორგოძემ.

კოკაიდ წოდებულმა ცაგურიამ, რომელიც უმაღლეს დივიზიონ მაკუჩიში დასავლეთის მეხუთე მაეგაშირას წოდებას ფლობს, ბაშოს პირველ დღეს აღმოსავლეთის მეხუთე მაეგაშირა ვაკანოსატო დაჩაგრა, ხოლო გუშინ დასავლეთის მეოთხე მაეგაშირა კიოკუტენჰო დასცა და ორი დღის შემდეგ ორ შეხვედრაში ორი მოგებით იწონებს თავს.

ორივე ორთაბრძოლა მოიგო ქვედა დივიზიონ ძურიოში ტოჩინოშინად წოდებულმა გორგოძემ, რომელმაც კვირას კიტაძაკურა გადაუშვა დოჰიოდან, გუშინ კი კოტოკასუგა დააჩოქა.

სამბო

# ნაკრებს მჭედლიშვილი დააკლდა

**საქართველოს** სამბისტთა ნაკრებმა ევროპის 2008 წლის ჩემპიონატისთვის მზადება დაიწყო, რომელსაც თბილისი 27 აპრილიდან 2 მაისის ჩათვლით უმასპინძლებს.

ნაკრების თავკაცი ოლეგ იაძე 25 სამბისტს მოამზადებს, თუმც საევროპო შემადგენლობა უკვე ცნობილია. 9 მარტიდან მოჭიდავეები ბაკურიანში 15-დღიან შეკრებას გაივლიან და იქ ძირითადი აქცენტი ფიზიკური კონდიციების გაუმჯობესებას დაეთმობა. ბაკურიანიდან დაბრუნების მერე ნაკრები თბილისში ორ შეკრებას გაივლის, სადაც მთავარი ყურადღება უკვე ტექნიკა-ტაქტიკის სრულყოფას დაეთმობა. ევროპირველობას ტრავმის გამო გამოაკლდება ნაკრების ლიდერი ნოდარ მჭედლიშვილი (68კგ). მის ადგილს ან მინდია ხომიზური, ანაც გელა სანიკიძე დაიკავებს. სხვა წონებში ეს ხალხი იჭიდავებს: უშანგი კუზანაშვილი (52კგ), ავთანდილ ცინცაძე (57კგ), დავით სიმონიშვილი (62კგ), კახა მამულაშვილი (74კგ), ლევან წიკლაური (82კგ), მინდია ბოდაველი (90), მირიან პავლიაშვილი (100კგ), ზვიად ჩინჩლაძე (მძიმე).

**ლექსო მაისურაძე**

მძლეოსნობა




რუსმა ელენა სობოლევამ ჩემპიონატი მსოფლიოს რეკორდით დაამშვენა

### მსოფლიოს ჭერქვეშა ჩემპიონატი. ვალენსია. ესპანეთი. 7-9 მარტი

**კაცები**

ჭოკით ხტომა: 1. ევგენი ლიკუანენკო (რუსეთი) 5,90 მ; 2. ბრედ უოლქერი (აშშ) 5,85; 3. სტივენ ჰუკერი (ავსტრალია) 5,80; 4. ჟერომ კლავიე (საფრანგეთი) 5,75; 5. ტიმ ლობინგერი (გერმანია) 5,70

400მ: 1. ტაილერ კრისტოფერი (კანადა) 45,67 წმ; 2. იოჰან ვაისმანი (შვედეთი) 46,04; 3. კრის ბრაუნი (ბაჰამის კუნძულები) 46,26; 4. ნერი ბრეინესი (კოსტა რიკა) 46,65; 5. მაქსიმ დულდინი (რუსეთი) 46,79

შვიდჭიდი: 1. ბრაიან კლეი (აშშ) 6371 ქულა; 2. ანდრეი კრაუჩანკა (ბელარუსი) 6234; 3. დმიტრი კარპოვი (ყაზახეთი) 6131; 4. მიხაილ ლოგვინენკო (რუსეთი) 5984; 5. დონოვან კილმარტინი (აშშ) 5951

3000მ: 1. ტარიკუ ბეკელე (ეთიოპია) 7 წთ 48,23 წმ; 2. პოლ კიპსილე კოეჩი (კენია) 7.49,05; 3. აბრაჰამ ჩერკოსი (ეთიოპია) 7.49,96; 4. ედვინ ჩერიოტ სოი (კენია) 7.51,60; 5. კრეიგ მოტრემი (ავსტრალია) 7.52,42

სამხტომი: 1. ფილიპ იდოვუ (ბრიტანეთი) 17,75 მ; 2. არნი დავიდ ხირატი (კუბა) 17,47; 3. მელსონ ევორა (პორტუგალია) 17,27; 4. ფაბრიციო დონატო (იტალია) 17,27; 5. დმიტრი ვალუკევიჩი (სლოვაკეთი) 17,14

800მ: 1. აბუბაქარ კაკი ხამიზი (სუდანი) 1 წთ 44,81 წმ; 2. მბულაენი მულაუხი (ს. აფრიკა) 1.44,91; 3. იუსუფ საადა ქამელი (ბაჰრეინი) 1.45,26; 4. დმიტრის მილკევისი (ლატვია) 1.45,72; 5. დმიტრი ბოგდანოვი (რუსეთი) 1.45,76

4X400მ: 1. აშშ (დევისი, ტორენსი, ნიქსონი, ვილი) 3 წთ 06,79 წმ; 2. იამაიკა (ბლეკვუდი, სტილი, ფინდლეი, ბარეტი) 3.07,69; 3. დომინიკის რესპუბლიკა (რეგუერო, სანტა, მეხია, ტაპია) 3.07,77; 4. პოლონეთი (კედზია, კლინჩაკი, ჩუბინსკი, სობინსკი) 3.08,76; 4. ბრიტანეთი (გრინი, ბაკი, გარლანდი, ტობინი) 3.09,21

**ქალები**

სიგრძეზე ხტომა: 1. ნაიდე გომეში (პორტუგალია) 7,00 მ; 2. მაურენ ნიჟა მაგი (ბრაზილია) 6,89; 3. ირინა სიმაგინა (რუსეთი) 6,88; 4. ელოიზ ლეზუერი (საფრანგეთი) 6,60; 5. კონცეფციონ მონტანერი (ესპანეთი) 6,57

ბირთვის კვრა: 1. ვალერია ვილი (ახ. ზელანდია) 20,19 მ; 2. ნადეჟდა ოსტაპჩუკი (ბელარუსი) 19,74; 3. მეიჟუ ლი (ჩინეთი) 19,09; 4. მისლეიდის გონსალესი (კუბა) 18,75; 5; ჩიარა როზა (იტალია) 18,68

400მ: 1. ოლესია ზიკინა (რუსეთი) 51,09 წმ; 2. ნატალია ნაზაროვა (რუსეთი) 51,10; 3. შარიზ ვუდსი (აშშ) 51,41; 4. ანტონინა ეფრემოვა (უკრაინა) 51,53; 5. ანგელა მოროსანუ (რუმინეთი) 53,07

800მ: 1. ტემზი ლუისი (ავსტრალია) 2 წთ 02,57 წმ; 2. ტატიანა პეტლიუკი (უკრაინა) 2.02,66; 3. მარია მუტოლა (მოზამბიკი) 2.02,97; 4. მაიტე მარტინესი (ესპანეთი) 2.03,15; 5. ჯენიფერ მედოვსი (ბრიტანეთი) 2.03,51

სიმაღლეზე ხტომა: 1. ბლანკა ვლასიჩი (ხორვატია) 2,03 მ; 2. ელენა სრუსარენკო (რუსეთი) 2,01; 3. ვიტა პალამარი (უკრაინა) 2,01; 4. რუთ ბეტია (ესპანეთი) 1,99; 5. მარინა აიტოვა (ყაზახეთი) 1,95

800მ: 1. ელენა სობოლევა (რუსეთი) 3 წთ 57,71 წმ (მსოფლიოს რეკორდი); 2. იულია ფომენკო (რუსეთი) 3.59,41; 3. გელეტე ბურკა (ეთიოპია) 3.59,75; 4. მარიამ იუსუფ ჯამალი (ბაჰრეინი) 3.59,79; 5. დანიელა იორდანოვა (ბულგარეთი) 4.04,19

4X400მ: 1. რუსეთი (გუშჩინა, ლევინა, ნაზაროვა, ზიკინა) 3 წთ 28,17 წმ; 2. ბელარუსი (კოზაკი, ჰლისტავა, ს. უსოვიჩი, ი. უსოვიჩი) 3.28,90; 3. აშშ (პერკინსი, ბარნსი, ვუდსი, რობინსონი) 3.29,30; 4. ჩეხეთი (ბერგროვა, სკერბოვა, ბარტონიკოვა, ჰეინოვა) 3.34,53; 5. რუმინეთი (იონიტა, პოპესკუ, ლავრიჩი, მოროსანუ) 3.36,79

### ქვეყნები და მედლები

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| აშშ | 5 | 5 | 3 | 13 | ბრაზილია | 0 | 1 | 1 | 2 |
| რუსეთი | 5 | 4 | 3 | 12 | უკრაინა | 0 | 1 | 1 | 2 |
| ეთიოპია | 3 | 1 | 2 | 6 | საბერძნეთი | 0 | 1 | 0 | 1 |
| ბრიტანეთი | 1 | 4 | 0 | 5 | იამაიკა | 0 | 1 | 0 | [illegible] |
| კუბა | 1 | 1 | 1 | 3 | სენტ კიტსი | 0 | 1 | 0 | 1 |
| ს. აფრიკა | 1 | 1 | 0 | 2 | პოლონეთი | 0 | 0 | 2 | 2 |
| შვედეთი | 1 | 1 | 0 | 2 | ბაჰამები | 0 | 0 | 1 | 1 |
| ავსტრალია | 1 | 0 | 1 | 2 | ბაჰრეინი | 0 | 0 | 1 | 1 |
| პორტუგალია | 1 | 0 | 1 | 2 | ვირჯინიის კუნ-ები | 0 | 0 | 1 | 1 |
| ჩინეთი | 1 | 0 | 1 | 2 | კვიპროსი | 0 | 0 | 1 | 1 |
| ბელგია | 1 | 0 | 0 | 1 | დომინიკ რესპ. | 0 | 0 | 1 | 1 |
| კანადა | 1 | 0 | 0 | 1 | ყაზახეთი | 0 | 0 | 1 | 1 |
| ხორვატია | 1 | 0 | 0 | 1 | ლატვია | 0 | 0 | 1 | 1 |
| ახ. ზელანდია | 1 | 0 | 0 | 1 | მაროკო | 0 | 0 | 1 | 1 |
| ნიგერია | 1 | 0 | 0 | 1 | მოზამბიკი | 0 | 0 | 1 | 1 |
| სუდანი | 1 | 0 | 0 | 1 | საუდის არაბეთი | 0 | 0 | 1 | 1 |
| ბელარუსი | 0 | 3 | 0 | 3 | სლოვენია | 0 | 0 | 1 | 1 |
| კენია | 0 | 2 | 0 | 2 | ესპანეთი | 0 | 0 | 1 | 1 |



ანია პერსონმა სუპერკომბინაციაში იპირველა

| მსოფლიოს თასი. კაცები. კრანსკა გორა. სლოვენია. 8-9 მარტი | |
|---|---|
| **გიგანტური სლალომი** | |
| 1. ტედ ლიჯეტი (აშშ) | 2 წთ 24,31 წმ (1.12,82+1.11,49) |
| 2. მანფრედ მიოლგი (იტალია) | 2.24,46 (1.12,68+1.11,78) |
| 3. მასიმილიანო ბლარდონე (იტალია) | 2.25,11 (1.12,62+1.12,49) |
| 4. ბენჯამინ რაიხი (ავსტრია) | 2.25,45 (1.13,01+1.12,44) |
| 5. მარკ ბერთოდი (შვეიცარია) | 2.26,12 (1.14,14+1.11,98) |
| **სლალომი** | |
| 1. მანფრედ მიოლგი (იტალია) | 1 წთ 42,29 წმ (52,43+49,86) |
| 2. ივიცა კოსტელიჩი (ხორვატია) | 1.42,70 (53,07+49,63) |
| 3. მერკელ ჰირშერი (ავსტრია) | 1.42,78 (53,32+49,46) |
| 4. ჟან-ბასტისტ გრანჟე (საფრანგეთი) | 1.42,84 (53,12+49,72) |
| 5. რაინფრედ ჰერბსტი (ავსტრია) | 1.42,93 (52,74+50,19) |
| **საერთო ჩათვლა** | |
| 1. ბოდე მილერი (აშშ) | 1387 ქულა |
| 2. დიდიე კუშე (შვეიცარია) | 1218 |
| 3. ბენჯამინ რაიხი (ავსტრია) | 1123 |
| 4. მანფრედ მიოლგი (იტალია) | 855 |
| 5. ტედ ლეჯიტი (აშშ) | 798 |

| მსოფლიოს თასი. ქალები. კრანს მონტანა. შვეიცარია. 8-9 მარტი | |
|---|---|
| **სწრაფდაშვება** | |
| 1. ლინდსი კილდოუ (აშშ) | 1 წთ 23,57 წმ |
| 2. რენატა გიოტჩლი (ავსტრია) | 1.24,18 |
| 3. ნადია ფრანჩინი (იტალია) | 1.24,21 |
| 4. ჯულია მანკუზო (აშშ) | 1.24,24 |
| 5. მარია რიოში (გერმანია) | 1.24,37 |
| **სუპერკომბინაცია (სწრაფდაშვება + სლალომის ერთი ცდა)** | |
| 1. ანია პერსონი (შვედეთი) | 2 წთ 30,60 წმ (1.35,98+54,62) |
| 2. მარია რიოში (გერმანია) | 2.30,80 (1.36,01+54,79) |
| 3. ლინდსი კილდოუ (აშშ) | 2.30,86 (1.35,09+55,77) |
| 4. ელიზაბეტ გიორგლი (ავსტრია) | 2.31,05 (1.36,41+54,64) |
| 5. ინგრიდ ჟაკემო (საფრანგეთი) | 2.31,71 (1.36,60+55,11) |
| **საერთო ჩათვლა** | |
| 1. ლინდსი კილდოუ (აშშ) | 1263 ქულა |
| 2. მარია რიოში (გერმანია) | 1106 |
| 3. ნიკოლ ჰოსპი (ავსტრია) | 1085 |
| 4. ელიზაბეტ გიორგლი (ავსტრია) | 992 |
| 5. მარლიზ შილდი (ავსტრია) | 980 |

# გუდაური, აბუს თასი

**12-13 მარტს** გუდაურში მთის მოთხილამურეთა ტრადიციული ტურნირი „აბუს თასი" ჩატარდება, რომელშიც ქართული სათხილამურო სპორტული სკოლების აღსაზრდელები შეეჯიბრებიან ერთმანეთს. ტურნირს კავშირი „აბუ" მართავს. მასში გუდაურში ტრაგიკულად დაღუპული მოთხილამურისა და მწვრთნელის თემურ აბუთიძის მეგობრები არიან გაწევრიანებულები. შეჯიბრება უკვე მეხუთედ ტარდება. შარშან იქ სომხეთის წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ, წლეულს კი მხოლოდ ქართველი მოზარდები გამოცდიან ძალებს. ამ ყველაფერთან დაკავშირებით გუშინ კაფე „მსოფლიო სპორტში" პრესკონფერენცია გაიმართა, რომელზეც „აბუს" დამფუძნებლებმა კოტე ქადაგიძემ, გიორგი მასხარაშვილმა, აგრეთვე კავშირის ვიცე-პრეზიდენტმა ნინო ჩლაიძემ ისაუბრეს.

*ნინო ჩლაიძე:* ტურნირი სლალომში და გიგანტურ სლალომში გაიმართება. მასში საქართველოს ყველა მოქმედი სათხილამურო სკოლა გამოვა. ტურნირზე ერთმანეთს 1991-92, 93-94 და 95 წლებში დაბადებული მოთხილამურეები გაეჯიბრებიან. როგორც იცით, ჩემპიონატი მეხუთე წელია, რაც ტარდება. სამწუხაროდ, ფინანსური პრობლემებიც გვაქვს და თან, დროც შესაფერისი არ არის. მარტში თოვლი უკვე გაფუჭებულია, ეს კი ტურნირის ხარისხიანობაზე მოქმედებს.

სამოყვარულო შეჯიბრებებისგან განსხვავებით, პროფესიონალებს შორის ასპარეზობა იშვიათად იმართება. ჩვენ რაც შეგვიძლია, ყველაფერს გავაკეთებთ, რათა საქართველოს ამ სპორტის სახეობაში ბევრი პროფესიონალი გავუზარდოთ და ამასთან დაკავშირებით ყველას ვთხოვთ დახმარებას. დაბოლოს, მინდა, გითხრათ, რომ ტურნირის ჩემპიონ-პრიზიორები სათხილამურო ინვენტარით და ფასიანი პრიზებით დაჯილდოვდებიან.

**ზურაბ მიგრიაული**



# სეზონი ტანდემ დახურა

**ნორვეგიაში,** ჰოლმენკოლენის თამაშზე გამართული ორი შეჯიბრით დასრულდა სათხილამურო ორჭიდის ოსტატთა 2007-08 წლების მსოფლიოს თასის გათამაშება.

გამარჯვებულის ვინაობა კარგა ხნის წინათ გაირკვა — გერმანელმა რონი აკერმანმა ფინელი ჰანუ მანინენის ოთხწლიანი მეფობა დაამხო და მესამედ მოიპოვა თასის მფლობელის სარგო დიდი ბრძოლის გლობუსი.

აკერმანმა ჰოლმენკოლენშიც ივარგა და გამოდევნებაში, რომელიც ავსტრიელმა ბერნარდ გრუბერმა მოიგო, მესამე ადგილი დაიკავა.

სეზონი კი მასპინძელმა, პეტერ ტანდემ დახურა, რომელმაც სპრინტში იპირველა და ამ გამარჯვებით გენერალურ კლასიფიკაციაში სეზონი მეორე ადგილზე მოიკალათა.

| მსოფლიოს თასი. ჰოლმენკოლენი. ნორვეგია. 8-9 მარტი | |
|---|---|
| **გამოდევნება (ორი ნახტომი HS 128 ტრამპლინიდან + 15 კმ)** | |
| 1. ბერნარდ გრუბერი (ავსტრია) | 39 წთ 33,1 წმ (მე-2 ადგილი ტრამპლინზე) |
| 2. კრისტოფ ბილერი (ავსტრია) | 40.12,9 (7) |
| 3. რონი აკერმანი (გერმანია) | 40.13,3 (13) |
| 4. მარიო შტეხერი (ავსტრია) | 40.13,7 (11) |
| 5. პეტერ ტანდე (ნორვეგია) | 40.37,7 (10) |
| **სპრინტი (ერთი ნახტომი HS 128 ტრამპლინიდან + 7,5 კმ)** | |
| 1. პეტერ ტანდე (ნორვეგია) | 20 წთ 43, 2 წმ (მე-5 ადგილი ტრამპლინზე) |
| 2. მარიო შტეხერი (ავსტრია) | 20.43,3 (6) |
| 3. ბერნარდ გრუბერი (ავსტრია) | 20.57,4 (2) |
| 4. დავიდ კრაინერი (ავსტრია) | 21.15,6 (7) |
| 5. ესპენ რიანი (ნორვეგია) | 21.23,0 |
| **საბოლოო მდგომარეობა** | |
| 1. რონი აკერმანი (გერმანია) | 1174 ქულა |
| 2. პეტერ ტანდე (ნორვეგია) | 978 |
| 3. ბილ დემონგი (აშშ) | 902 |
| 4. ბერნარდ გრუბერი (ავსტრია) | 894 |
| 5. ჟესონ ლამი შაპუი (საფრანგეთი) | 776 |



# მეხუთე ოლე

**შუაგულ** ციმბირში, ხანტების მთავარქალაქ ხანტი-მანსიისკში მსროლელ მოფხილამურეთა 2007-08 წლების მსოფლიოს თასის გათამაშების ბოლოსწინა ეტაპი ჩატარდა.

ეტაპის პროგრამაში, როგორც კაცების, ისე ქალებისთვის, სამი სახეობა იყო — სპრინტი, გამოდევნება და მასსტარტი. დიადმა ნორვეგიელმა ოლე ეინარ ბიორნდალენმა პირველივე სახეობაში იმარჯვა, კარიერაში მსოფლიოს თასის 82-ე ეტაპი მოიგო და მართალია, გამოდევნებასა და მასსტარტში უხეირო სროლის გამო პრიზიორებში ვერ მოხვდა, კარიერაში მეხუთედ თასის გამარჯვებულის წოდება, მაინც გაინაღდა.

სახელოვან თანამემამულეს ამჯერადაც აუბა მხარი ემილ ჰეგლე სვენდსენმა, რომელმაც სპრინტში მეორე ადგილი დაიკავა, გამოდევნებაში კი ყველას აჯობა. რაც შეეხება მასობრივი სტარტით რბოლას, ის პოლონელმა ტომაშ სიკორამ მოიგო.

არნახულად დაიძაბა მსოფლიოს თასისთვის ბრძოლა ქალთა შორის. ჰანტიმანსიისკური რბოლების შემდეგ გენერალური კლასიფიკაციას ერთბაშად ორი ლიდერი ჰყავს ფრანგი სანდრინ ბაიისა და გერმანელი მაგდალენა ნოინერის სახით, ხოლო შარშანდელი გამარჯვებული, ნოინერის თანამემამულე ანდრეა ჰენკელი, ლიდერთა დუეტს ოდენ 14 ქულით ჩამორჩება.

ნოინერმა ხანტი-მანსიისკში სპრინტი მოიგო, მასსტარტში კი მეორე ადგილი დაიკავა. ბაიი სპრინტსა და გამოდევნებაში მეორე იყო, მასსტარტში კი ერთბაშად 8 სამიზნე დატოვა მთელი და მე-20 ადგილით დაკმაყოფილდა.

ნოინერს მხარი კატრინ ჰიტცერმა აუბა, რომელმაც გამოდევნებაში ბაიის ოდენ წამნახევრით აჯობა და ბოლოს მასობრივი სტარტით რბოლაშიც პირველი იყო.



| მსოფლიოს თასი. ხანტი-მანსიისკი. რუსეთი. 6-9 მარტი | |
|---|---|
| **კაცები** | |
| **გამოდევნება. 12,5 კმ ოთხი სასროლეთით** | |
| 1. ემილ ჰეგლე სვენდსენი (ნორვეგია) | 35 წთ 50,48 წმ (2 აცდენა) |
| 2. ტომაშ სიკორა (პოლონეთი) | +16,8 წმ (0) |
| 3. ანდრეი მაკოვეევი (რუსეთი) | +23,1 (3) |
| 4. ანდრეას ბირნბახერი (გერმანია) | +28,7 (0) |
| 5. ნიკოლაი კრუგლოვი (რუსეთი) | +36,7 (3) |
| **მასსტარტი. 15 კმ ოთხი სასროლეთით** | |
| 1. ტომაშ სიკორა (პოლონეთი) | 41 წთ 20,88 წმ (1 აცდენა) |
| 2. დანიელ გრაფი (გერმანია) | +15,1 წმ (2) |
| 3. მიხალ შლეზინგერი (ჩეხეთი) | +15,2 (2) |
| 4. ივან ჩერეზოვი (რუსეთი) | +16,0 (4) |
| 5. ნიკოლაი კრუგლოვი (რუსეთი) | +20,8 (3) |
| **საერთო ჩათვლა** | |
| 1. ოლე ეინარ ბიორნდალენი (ნორვეგია) | 851 ქულა |
| 2. დმიტრი იაროშენკო (რუსეთი) | 682 |
| 3. ემილ ჰეგლე სვენდსენი (ნორვეგია) | 594 |
| 4. ბიორნ ფერი (შვედეთი) | 553 |
| 5. მაქსიმ ჩუდოვი (რუსეთი) | 541 |
| **ქალები** | |
| **გამოდევნება. 10 კმ ოთხი სასროლეთით** | |
| 1. კატრინ ჰიტცერი (გერმანია) | 33 წთ 51,68 წმ (1 აცდენა) |
| 2. სადრინ ბაიი (საფრანგეთი) | +1,5 წმ (2) |
| 3. ანდრეა ჰენკელი (გერმანია) | +22,2 (2) |
| 4. ალბინა ახატოვა (რუსეთი) | +26,6 (2) |
| 5. მაგდალენა ნოინერი (გერმანია) | +1.25,0 (7) |
| **მასსტარტი. 12,5 კმ ოთხი სასროლეთით** | |
| 1. კატრინ ჰიტცერი (გერმანია) | 38 წთ 04,93 წმ (2 აცდენა) |
| 2. მაგდალენა ნოინერი (გერმანია) | +19,2 წმ (5) |
| 3. სვეტლანა სლეპცოვა (რუსეთი) | +33,3 (3) |
| 4. ოქსანა ხვოსტენკო (უკრაინა) | +1.21,3(2) |
| 5. სილვი ბეკარი (საფრანგეთი) | +1.28,6 (2) |
| **საერთო ჩათვლა** | |
| 1-2. სადრინ ბაიი (საფრანგეთი) | 741 ქულა |
| 1-2. მაგდალენა ნოინერი (გერმანია) | 741 |
| 3. ანდრეა ჰენკელი (გერმანია) | 727 |
| 4. კატი ვილჰელმი (გერმანია) | 623 |
| 5. ეკატერინა იურევა (რუსეთი) | 599 |

ბარის თხილამურობა

# სოდერგრენის მეორე ჰოლმენკოლენი




**გასულ** უქმეებზე ნორვეგიის დედაქალაქ ოსლოს სიახლოვეს, ჰოლმენკოლენში, ზამთრის სპორტის ტრადიციული ზეიმი იყო, რომელიც ჰოლმენკოლენის თამაშებით არის ცნობილი და რომელსაც ნორვეგიის მთელი სამეფო კარი დაესწრო.

თამაშების პროგრამაში ბარის თხილამურება, ტრამპლინიდან ხტომა და ჩრდილოეთის კომბინაცია (სათხილამურო ორჭიდი) შედის და მის გვირგვინია კაცთა 50 კილომეტრზე ინდივიდუალური რბოლა, რომელიც მორიგეობით ტარდება კლასიკური და თავისუფალი სტილით.

წლეულს თავისუფალი სტილით რბოლის ჯერი იყო და ისევე, როგორც შარშანწინ, ყველას აჯობა შვედმა ანდერს სოდერგრენმა, რომელმაც მეტოქეებს შანსი არ დაუტოვა და უზარმაზარი უპირატესობით იპირველა.

სოდერგრენი, უვე 7 კილომეტრის შემდეგ ყველას უსწრებდა და საბოლოო ჯამში კი შვედმა ორწუთნახევრით აჯობა წლევანდელი მსოფლიოს თასის გათამაშების ვადამდელ გამარჯვებულ ჩეხ ლუკაშ ბაუერს.

მესამე ადგილის ბედი კი წამის ორმა მეათედმა. გადაწყვიტა — სწორედ ამდენით აჯობა შვეიცარიელმა რემო ფიშერმა იტალიელ პიეტრო პილერ კოტრერს.

სამეფო ოჯახისა და ათიათასობით სხვა ქომაგის სამწუხაროდ, ამჯერად ნორვეგიელებმა ვერ ივარგეს. მათგან საუკეთესო, უფრო ბიატლონში გამოსვლებით ცნობილი ფროდე ანდერსენი, მხოლოდ მეშვიდე იყო.

**მსოფლიოს თასი. ჰოლმენკოლენი. ნორვეგია. 8 მარტი**

**კაცები**

**50 კმ. ინდივიდუალური. თავისუფალი**

| | |
|---|---|
| 1. ანდერს სოდერგრენი (შვედეთი) | 2 სთ 11 წთ 44,7 წმ |
| 2. ლუკაშ ბაუერი (ჩეხეთი) | 2:14.17,2 |
| 3. რემო ფიშერი (შვეიცარია) | 2:14.46,7 |
| 4. ვენსან ვიტოზი (საფრანგეთი) | 2:14.46,9 |
| 5. პიეტრო პილერ კოტრერი (იტალია) | 2:15.21,2 |

**საერთო ჩათვლა**

| | |
|---|---|
| 1. ლუკაშ ბაუერი (ჩეხეთი) | 1276 ქულა |
| 2. რენე ზომერფელდი (გერმანია) | 770 |
| 3. ტორ არნე ჰეტლანდი (ნორვეგია) | 656 |
| 4. პიეტრო პილერ კოტრერი (იტალია) | 583 |
| 5. აქსელ ტაიხმანი (გერმანია) | 543 |

**ქალები**

**30 კმ. ინდივიდუალური. თავისუფალი**

| | |
|---|---|
| 1. ვალენტინა შევჩენკო (უკრაინა) | 1 სთ 24 წთ 14,9 წმ |
| 2. შარლოტა კალა (შვედეთი) | 1:24.29,4 |
| 3. კლაუდია ნისტადი (გერმანია) | 1:24.33,9 |
| 4. ტერეზა იოჰაუგი (ნორვეგია) | 1:24.35,5 |
| 5. მარიტ ბიორგენი (ნორვეგია) | 1:24.57,6 |

**საერთო ჩათვლა**

| | |
|---|---|
| 1. ვირპი კუიტუნენი (ფინეთი) | 1325 ქულა |
| 2. ასტრიდ იაკობსენი (ნორვეგია) | 1115 |
| 3. შარლოტა კალა (შვედეთი) | 1019 |
| 4. ჟუსტინა კოვალჩუკი (პოლონეთი) | 928 |
| 5. პეტრა მაიდიჩი (სლოვენია) | 892 |

ციგურაობა



სვენ კრამერმა ნაგანოში სამი ოქრო მოიპოვა

**მსოფლიოს ჩემპიონატი ცალკეულ დისტანციებზე. ნაგანო. იაპონია. 4-9 მარტი**

**კაცები**

500 მ (ორი გარბენის ჯამი): 1. ჯერემი უოტერსპუნი (კანადა) 69,460 წმ (34,78+34,68); 2. ლი კიუ ჰუკი (კორეა) 70,010 (35,11+34,90); 3. ჯოი კატო (იაპონია) 70,320 (35,25+35,07)

1000მ: 1. შენი დევისი (აშშ) 1 წთ 08,99 წმ; 2. ევგენი ლალენკოვი (რუსეთი) 1.09,39; 3. დენი მორისონი (კანადა) 1.09,42

1500მ: 1. დენი მორისონი (კანადა) 1 წთ 45,22 წმ; 2-3. სვენ კრამერი (ჰოლანდია) და შენი დევისი (აშშ) 1.45,32

5000მ: 1. სვენ კრამერი (ჰოლანდია) 6 წთ 17,24 წმ; 2. ენრიკო ფაბრისი (იტალია) 6.20,22; 3. ვოუტერ ოლდე ჰოიველი (ჰოლანდია) 6.26,05

10000მ: 1. სვენ კრამერი (ჰოლანდია) 12 წთ 57,71 წმ; 2. ენრიკო ფაბრისი (იტალია) 13.18,81; 3. ბობ დე იონგი (ჰოლანდია) 13.25,01

გუნდური რბოლა: 1. ჰოლანდია (კრამერი, ოლდე ჰოივოლი, ვენემარსი) 3 წთ 41,69 წმ; 2. იტალია (ფაბრისი, ანეზი, სტეფანი) 3.46,6; 3. გერმანია (დალმანი, ჰეიტაუზენი, ვებერი) 3.47,71

**ქალები**

500მ (ორი გარბენის ჯამი): 1. ჯენი ვოლფი (გერმანია) 75,620 წმ (37,88+37,74); 2. ვან ბეისინი (ჩინეთი) 76,280 (38,18+38,10); 3. ვერონიკა გერიტსენი (ჰოლანდია) 77,200 (38,72+38,48)

1000მ: 1. ანი ფრეზინგერი (გერმანია) 1 წთ 15,37 წმ; 2. კრისტინ გროუვზი (კანადა) 1.16,01; 3. ვერონიკა გერიტსენი (ჰოლანდია) 1.16,35

1500მ: 1. ანი ფრეზინგერი (გერმანია) 1 წთ 46,06 წმ; 2. პაულინ ვან დოიტეკემი (ჰოლანდია) 1.47,36; 3. კრისტინ გროვუზი (კანადა) 1.47,63

3000მ: 1. კრისტინ გროუვზი (კანადა) 4 წთ 05,03 წმ; 2. პაულინ ვან დოიტეკემი (ჰოლანდია) 4.05,49; 3. დანიელა ანშოულტც-ტომსი (გერმანია) 4.05,76

5000მ: 1. მარტინა საბლიკოვა (ჩეხეთი) 6 წთ 58,22 წმ; 2. კრისტინ ჰიუზი (კანადა) 7.04,79; 3. კრისტინ გროუვზი (კანად) 7.04,94

გუნდური რბოლა: 1. ჰოლანდია (გერიტსენი, ვან დოიტეკემი, ტიმერი) 3 წთ 02,19 წმ; 2. კანადა (გროუვზი, ჰიუზი, ნესბიტი) 3.02,87; 3. გერმანია (ფრეზინგერი, ანშოლტც-ტომსი, პეხშტანი) 3.07,57

ტრამპლინიდან ხტომა

# შლირენცაუერის ნორვეგიული დუბლი

**ტრამპლინიდან** მხტომელებს სეზონის ბოლომდე ერთი ეტაპიღა დარჩათ გასამართი — დამდეგ უქმეებზე სლოვენიური პლანიცას გიგანტურ ტრამპლინზე 2007-08 წლების მსოფლიოს თასის ბოლო აკორდი იქნება და დიდია იმის ალბათობა, რომ ეს აკორდი ავსტრიელმა თინეიჯერმა გრეგორ შლირენცაუერმა აიღოს.

ჯერ ერთი, რომ სწორედ შლირენცაუერი გახდა გიგანტური ტრამპლინიდან ფრენაში წლევანდელი მსოფლიოს ჩემპიონატის გამარჯვებული და მეორე და უმთავრესი — სეზონის ბოლოსკენ „შლირი" დიდებულ ფორმაშია და ეს ნორვეგიაშიც კარგად გამოჩნდა, სადაც ნორჩმა ავსტრიელმა დუბლი შეასრულა — ჯერ ლილეჰამერის ოლიმპიურ ტრამპლინზე იმარჯვა და შემდეგ კი ჰოლმენკოლენის ლეგენდარულ ტრამპლინზეც ყველას აჯობა.

**მსოფლიოს თასი. ლილეჰამერი. ნორვეგია. 7 მარტი**

**პირადი. HS 138**

| | |
|---|---|
| 1. გრეგორ შლირენცაუერი (ავსტრია) | 257,9 ქულა (132,0 მ და 129,5) |
| 2. ანდრეას კუეტელი (შვეიცარია) | 255,8 (126,5 და 133,0) |
| 3. იანე ჰაპონენი (ფინეთი) | 255,3 (124,5 და 135,0) |
| 4. იანე აჰონენი (ფინეთი) | 253,8 (126,5 და 133,0) |
| 5. ტომ ჰილდე (ნორვეგია) | 248,9 (133,5 ლა 123,0) |

**მსოფლიოს თასი. ჰოლმენკოლენი. ნორვეგია. 9 მარტი**

**პირადი. HS 128**

| | |
|---|---|
| 1. გრეგორ შლირენცაუერი (ავსტრია) | 265,3 ქულა (125,0 მ და 123,5 მ) |
| 2. ტომ ჰილდე (ნორვეგია) | 256,4 (119,5 და 123,5) |
| 3. ბიორნ ეინარ რომორენი (ნორვეგია) | 247,1 (117,5 და 122,0) |
| 4. ტომას მორგენშტერნი (ავსტრია) | 246,3 (122,0 და 116,5) |
| 5. იანე ჰაპონენი (ფინეთი) | 242,6 (111,5 და 125,5) |

**საერთო ჩათვლა**

| | |
|---|---|
| 1. ტომას მორგენშტერნი (ავსტრია) | 1768 ქულა |
| 2. გრეგორ შლირენცაუერი (ავსტრია) | 1361 |
| 3. იანე აჰონენი (ფინეთი) | 1166 |
| 4. ტომ ჰილდე (ნორვეგია) | 1152 |
| 5. ანდერს ბარდალი (ნორვეგია) | 857 |

ამ ორი გამარჯვებით შლირენცაუერმა მყარად მოიკიდა ფეხი საერთო ჩათვლის მეორე საფეხურზე. მის წინ მხოლოდ მეორე ავსტრიელი ტომას მორგენშტერნია, რომელმაც კარგა ხნის წინათ გაინაღდა მსოფლიოს თასის გამარჯვებულის წოდება.

ჰოკეი



## რეგულარული ჩემპიონატი

9 მარტი

**ვაშინგტონი 2:4 პიტსბურგი**
*0:0 2:2 0:2*
1:0 ლეიჩი (28), 1:1 სიკორა (29), 1:2 კროსბი (39), 2:2 სიომინი (40), 2:3 კროსბი (60), 2:4 სტაალი (60)

**დეტროიტი 4:3 ნეშვილი**
*2:0 2:0 0:3*
1:0 ფრენცენი (12), 2:0 გუდლერი (16), 3:0 სტიუარტი (36), 4:0 ფრენცენი (37), 4:1 ვებერი (52), 4:2 ერატი (55), 4:3 ტუტუ (59)

**კოლუმბუსი 5:3 ტამპა**
*2:1 1:2 0:2*
1:0 ვიბორნი (12), 1:1 ჰელპერნი (15), 2:1 მაკენზი (20), 3:1 პეკა (32), 3:2 სენ ლუი (37), 3:3 ლეკავალიე (38), 4:3 ჩიმერა (57), 5:3 ნოვოტნი (59)

**რეინჯერსი 1:0 ბოსტონი**
*0:0 0:0 0:0 0:0 (1:0 ბულიტებით)*

**ჩიკაგო 5:6 ედმონტონი**
*1:1 2:2 2:2 0:1 (ოვერტაიმში)*
0:1 პენერი (3), 1:1 შარპი (8), 2:1 კიტი (29), 2:2 ჰლენკროსი (31), 3:2 უილიამსი (32), 3:3 ნილსონი (39), 3:4 რიზონერი (42), 4:4 ლანგი (44), 4:5 კოლიანო (47), 5:5 ბაიფულემი (56), 5:6 კოლიანო (64)

**მინესოტა 2:3 სან ხოსე**
*0:2 1:0 1:0 0:0 (0:1 ბულიტებით)*
0:1 მიხალეკი (1), 0:2 პლიხალი (14), 1:2 ფოსტერი (25), 2:2 როლსტონი (60)

**ანაჰაიმი 3:2 მონრეალი**
*1:1 0:0 2:0*
1:0 მარშანტი (1), 1:1 კოვალიოვი (9), 2:1 კუნიცი (53), 3:1 პოლსონი (54)

**დალასი 3:0 კოლორადო**
*2:0 1:0 0:0*
1:0 ბარნსი (4), 2:0 რობიდა (6), 3:0 რიჩარდსი (27)

# სტოუნერის პირველი ღამე



ხორხე ლორენცო, კეისი სტოუნერი და დენი პედროსა

**სპარსეთის** ყურეში, ყატარის მთავარქალაქ დოჰას ავტოდრომზე გამართული ღამის რბოლით დაიწყო მოტოციკლეტისტთა მსოფლიოს 2008 წლის ჩემპიონატი საგზატკეცილო-წრიულ რბოლებში.

საიუბილეო, მე-60 ჩემპიონატი უკვე შევა ისტორიაში, რადგანაც პირველად მოხდა, რომ მსოფლიოს პირველობის ეტაპი ღამით, ხელოვნური განათების პირობებში ჩატარდა.

თანმიმდევრობით მივყვეთ და, ხელოვნური განათება პირველებმა, უმცროსი, 125 კუბურ-სანტიმეტრიანი ძრავის მქონე მოტოების კლასის მრბოლებმა დააჭაშნიკეს და ისტორიული გამარჯვება „აპრილიას" ესპანელმა მრბოლმა, 23 წლის სერხიო გადეამ მოიპოვა.

საშუალო კლასში, ანუ 250 კუბური სანტიმეტრი ძრავის მქონე მოტოებშიც საუკეთესო „აპრილიას" წარმომადგენელი, იტალიელი მატეო პაზინი იყო.

უმთავრესი კი, რაღა თქმა უნდა, მოტოჯიპის სახელის მქონე „სამეფო კლასის" მოტოების შეჯიბრი იყო და ავსტრალიელმა კეისი სტოუნერმა ყველას დაუმტკიცა, რომ ტყუილად არ ატარებს მსოფლიოს ჩემპიონის წოდებას.

არადა, კვალიფიკაციის შემდეგ სტოუნერი მხოლოდ მეოთხე იყო. პირველი სასტარტო პოზიცია „იამაჰას" ესპანელმა მოტომრბოლმა, ხორხე ლორენცომ დაიკავა. ლორენცო შარშან 250-იანთა კლასში ჩემპიონი გახდა და „სამეფო კლასში" ასულმა, უმალ განაცხადა პრეტენზია ტიტულზე. აღსანიშნავია, რომ კვალიფიკაციაში სამი საუკეთესო შედეგი „სამეფო კლასის" დებიუტანტებმა აჩვენეს — ლორენცოს კვალში სუპერბაიკების ბრიტანელი ჩემპიონი ჯეიმს თაუსლენდი და კიდევ ერთი ყოფილი სუპერბაიკერი, ამერიკელი კოლინ ედვარდსი ჩაუდგნენ.

ლორენცოც, თაუსლენდიცა და ედვარდსიც „იამაჰას" ღირსებას იცავენ, „იამაჰა" კი „მიშლენის" საბურავებით არის აღჭურვილი, მაშინ, როდესაც სტოუნერის „დუკატს" „ბრიჯსტოუნის" „ფეხსაცმელები" აცვია. ასე რომ, კვალიფიკაციაში „საბურავების ომი" „მიშლენმა" მოიგო, მაგრამ რბოლაში სტოუნერმა, „დუკატმა" და „ბრიჯსტოუნმა" სრული რევანში აიღეს.

ავსტრალიელმა უზარმაზარი, თითქმის ხუთწამნახევრიანი უპირატესობით იმარჯვა, თუმც ნურც ლორენცოს დავუკარგავთ გარჯას, რომელმაც წინ მხოლოდ სტოუნერი გაატარა და თავის მხრივ, მესამე ადგილზე გასულ დანი პედროსას, ასევე ხუთ წამზე მეტით აჯობა.

თაუსლენდი და ედვარდსი მეექვსე-მეშვიდე ადგილებით დაკმაყოფილდნენ. პრიზიორების გარდა, ძველ ბაიკერებს იტალიელმა ანდრეა დევისიოზომ და მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონმა (აქედან ხუთჯერ „სამეფო კლასში"), ვალენტინო როსიმ აჯობეს.

როსის „იამაჰა" კვალიფიკაციისას მეშვიდე იყო და რბოლაში კი იტალიელმა მხოლოდ ორი პოზიციის მოგება მოახერხა.

ჩემპიონატის მეორე ეტაპი, „ესპანეთის დიდი პრიზის" გათამაშება, 30 მარტს ხერესში შედგება.

**ბახა ლომაძე**

**მსოფლიოს ჩემპიონატი საგზატკეცილო-წრიულ მოტორბოლაში**
**I ეტაპი. დოჰა. ყატარი. 9 მარტი**

| | |
|---|---|
| **მოტოჯიპი (22 წრე)** | |
| 1. კეისი სტოუნერი (ავსტრალია, „დუკატი") | 42 წთ 36,587 წმ |
| 2. ხორხე ლორენცო (ესპანეთი, „იამაჰა") | 42.41,910 |
| 3. დენი პედროსა (ესპანეთი, „ჰონდა") | 42.47,187 |
| 4. ანდრეა დევიზიოსო (იტალია, „ჰონდა) | 42.49,875 |
| 5. ვალენტინო როსი (იტალია, „იამაჰა") | 42.49,892 |
| **250 კბ. სმ. (20 წრე)** | |
| 1. მატია პაზინი (იტალია, „აპრილია") | 40 წთ 16,222 წმ |
| 2. ჰექტორ ბარბერა (ესპანეთი, „აპრილია") | 40.16,759 |
| 3. მიკა კალიო (ფინეთი, ლექ) | 40.17,231 |
| 4. ალექს დებონი (ესპანეთი, „აპრილია") | 40.17,660 |
| 5. იუკი ტაკაჰაში (იაპონია, „ჰონდა") | 40.29,146 |
| **125 კბ. სმ (18 წრე)** | |
| 1. სერხიო გადეა (ესპანეთი, „აპრილია) | 38 წთ 09,444 წმ |
| 2. ხოან ოლივე (ესპანეთი, „დერბი") | 38.10,376 |
| 3. შტეფან ბრადლი (გერმანია, „აპრილია") | 38.11,104 |
| 4. მიშელ დიმელო (საფრანგეთი, „დერბი") | 38.11,215 |
| 5. სკოტ რედინგი (ბრიტანეთი, „აპრილია") | 38.11,263 |

**მსოფლიოს ჩემპიონატის კალენდარი**

| | | | |
|---|---|---|---|
| I | ეტაპი | დოჰა (ყატარი) | 9 მარტი |
| II | ეტაპი | ხერესი (ესპანეთი) | 30 მარტი |
| III | ეტაპი | ეშტორილი (პორტუგალია) | 13 აპრილი |
| IV | ეტაპი | შანხაი (ჩინეთი) | 4 მაისი |
| V | ეტაპი | ლე მანი (საფრანგეთი) | 15 მაისი |
| VI | ეტაპი | მიუჯელო (იტალია) | 1 ივნისი |
| VII | ეტაპი | ბარსელონა (კატალონია, ესპანეთი) | 8 ივნისი |
| VIII | ეტაპი | დონინგტონი (ბრიტანეთი) | 22 ივნისი |
| IX | ეტაპი | ასენი (ჰოლანდია) | 28 ივნისი |
| X | ეტაპი | ზაქსენრინგი (გერმანია) | 13 ივლისი |
| XI | ეტაპი | ლაგუნა სეკა (აშშ) | 20 ივლისი |
| XII | ეტაპი | ბრნო (ჩეხეთი) | 17 აგვისტო |
| XIII | ეტაპი | მისანო (სან მარინო) | 31 აგვისტო |
| XIV | ეტაპი | ინდიანაპოლისი (აშშ) | 14 სექტემბერი |
| XV | ეტაპი | ფილიპ აილენდი (ავსტრალია) | 28 სექტემბერი |
| XVI | ეტაპი | სეპანგი (მალაიზია) | 19 ოქტომბერი |
| XVIII | ეტაპი | ვალენსია (ესპანეთი) | 26 ოქტომბერი |





# ჰეიმ მაკარინელი დაჩაგრა

**მოულოდნელად** მალე გადაწყდა ბრიტანული დერბის ბედი — პირველ მძიმე წონაში WBA-სა და WBC-ს ჩემპიონი დევიდ ჰეი WBO-ს ვერსიით ჩემპიონ უელსელ ენცო მაკარინელის ხვდებოდა. კრივის მოყვარულები ამ ჯახიდან გახსნილ, ლაზათიან და დაძაბულ ბრძოლას ელოდნენ. თანაც ორივეს მხოლოდ თითოჯერ წაეგო კარიერაში, რაც იმის დასტურად მოჩანდა, რომ შეხვედრა უკომპრომისო უნდა გამომდგარიყო.

თუმც სულ სხვა გეგმები ჰქონია ჰეის, რომელმაც უელსელს გახურების საშუალებაც არ მისცა, გავეშებული ეტაკა და მაკარინელი უმძიმესი ზეწოლის ქვეშ მოაქცია. ჰოდა, ყველაფერი მეორე რაუნდში მორჩა, როცა ჰეიმ მეტოქე დაანოკდაუნა. მაკარინელიმ 10 დათვლამდე წამოდგომა კი შეძლო, მაგრამ მაინც გვარიანად იყო დარეტიანებული. შეხვედრის რეფერიმაც ჩათვალა, ეს ბრძოლის გამგრძელებელი აღარ არისო და ჰეის ტექნიკური ნოკაუტით მოგება ჩაუთვალა.

27 წლის ჰეი ახლა უმძიმეს წონაში გადასვლას გეგმავს.

**ბახა ლომაშვილი**

# კემპბელმა დიასი უქამროდ დატოვა



**გასულ** უქმეებზე კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ დღეისთვის პროფესიულ კრივში მსუბუქი წონები გაცილებით ხეირიანი საცქერია. აქ მოკრივეები ნაკლებად ერიდებიან მეტოქეთა მუშტებს და ყრუ დაცვაში ჩადგომისა და ტაქტიკური ბრძოლის გამართვის მაგივრად აქტიურ ჩხუბს არჩევენ ხოლმე.

ასე იყო ხუან დიასისა და ნეიტ კემპბელის ჯახშიც, სადაც მოკრივეებმა 12 რაუნდი გვარიანად ჟეჟეს ერთმანეთი. ბრძოლა კი მოულოდნელი შედეგით დასრულდა, რადგანაც 36 წლის კემპბელმა დაჯაბნა ამ წონის უძლიერეს მოკრივედ მიჩნეული, აქამდე დაუმარცხებელი დიასი და ჰიუსტონელს ერთბაშად სამი — WBA-ს, WBO-სა და IBF-ის ქამრები ჩამოართვა.

ისე, დიასს თავის მართლება იმით შეუძლია, რომ მთელი გასული კვირის განმავლობაში რინგსგარეთა პრობლემების მოგვარება უწევდა, რის გამოც მან ამ ბრძოლისთვის ხეირიანად მომზადება ვერ შეძლო. ჯერ იყო და, დიასის მწვრთნელმა სასტუმროს ჰოლში ფეხი მოიტეხა და მოკრივესაც ვარჯიშების კორექტირება მოუწია. შემდეგ დიასის აგენტმა ყველაზე ცნობილ პრომოუტერ დონ კინგთან იჩხუბა, რამაც ასევე არ შეუწყო ხელი აწ უკვე ექსჩემპიონის მზადებას.

თუმც ეს ოდნავადაც არ აკნინებს კემპბელის მიღწევას. მან თავიდანვე აქტიურად დაიწყო, რითაც მეტოქე გვარიანად დააფრთხო. დიასი, რომელიც თავისი აგრესიული სტილითა და სწრაფი კომბინაციებით არის ცნობილი, მოუმზადებელი შეხვდა კემპბელის მიერ შეთავაზებულ გიჟურ ტემპს. ამის მიუხედავად, კარგა ხანს სიტუაცია თანაბარი იყო და მხოლოდ მეექვსე რაუნდში დაირღვა წონასწორობა — აქ კემპბელმა მეტოქეს თვალი ისე დაუზიანა, რომ დიასი თითქმის ველარაფერს ხედავდა. მართალია, რეფერიმ კემპბელს ქულა ჩამოართვა მეტოქეს თავი დაარტყაო, მაგრამ გამეორებაზე გამოჩნდა, რომ დიასს თვალი მეტოქის ცაციამ დაუზიანა.

გასაკვირი არაა, ამის შემდეგ კემპბელი გვარიან უპირატესობას რომ ფლობდა და ნელ-ნელა სიტუაცია სათავისოდ გადახარა. შედეგად, სამიდან ორმა მსაჯმა დიასს წაგება ჩაუთვალა და მანაც ერთბაშად ყველა ტიტული დაკარგა.

„აქამდე ის იყო საუკეთესო, ახლა კი მე ვარ. ვამბობდი, დიასს მოვუგებ მეთქი, მაგრამ სერიოზულად არავინ მიყურებდა. თავიდანვე სწრაფი ტემპი შევთავაზე და ამან გაამართლა კიდეც" — ხარობდა ნამატჩევს ახალგამომცხვარი ჩემპიონი.

**ბახა ლომაშვილი**

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე პახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ყორყელიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე
სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge